ეროვნული ბიბლიოთეკა




დიდება თავისუფლებას!

# ჩვენი დროშა

## NOTRE DRAPEAU

დამაარსებელი ნოე ჟორდანია

**ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.**

**Organe du Bureau à l' Etranger du parti Social-democrate de Géorgie.**

K-915
N 111



სამაისო

19 პარიზი 87

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ რ ი ს ტ ე  ა ღ ს დ გ ა !

---..---



შორეთიდან ჩვენო ძვირფასნო, დანო და ძმანო! გილოცავთ თქვენ და აგრეთვე სამშობლოს გაღმა ობლად დარჩენილ ქართველობას ამ დიად დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დოვლათს და მუდმივ ბედნიერებას.

მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ გვასწავლა , გვიქადაგა: ძმობა ერთობა, სიყვარული და ჩაგვინერგა , აზრი ჭეშმარიტი და ხულიერი იმედი შეურყეველი, და ამასვე მოგილოცავთ დღეს თქვენ.

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

საქ. სოც. დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელი ბიურო.

---..---

" ვიყოთ ერთგულნი მსახურნი ჩვენი მშობლიური ე რ ი ს.
სირცხვილი იმ გუთნის დედას მამა-პაპის საფლავს
ხ ნ ა ვ დ ე ს."

---..---

პატივცემულნო ძვირფასო მკითხველნო!

ჩვენი ჟურნალი მხოლოდ მაისის დამლევს გამოვიდა, ამიტომ ასე დაგვიანებით გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

პატივისცემით რედაქცია.

---..---

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პრეზიდენტი ნ ო. ე ჟორდანია

PRESIDENT N. JORDANIA

1868-1953.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერის დღესასწაული

## 26 მაისი

26 მაისი, ქართველი ერის და ხალხის აღდგომის, თავისუფლების და დამოუკიდებლობის დღეა.

ქართველი ხალხი პირდაპირ, უშუალოდ გათვითცნობიერებული და გამთლიანებული, პირველად გამოვიდა საქვეყნო ასპარეზზე 26 მაისს და მისცა დასაბამი მის ახალ ისტორიას; თქვა ახალი სიტყვა; გამოკვეთა თავისი სავალი გზა. მან აქ პირველად მიაძახა მომავალს: „მე ვარ ჩემი თავის ბატონი. უნდა ვიყო თავისუფალი!

ჩვენს ირგვლივ იცვლება ყველაფერი, იქსოვება ახალი მოვლენათა ქსელი, ხდება გადაჯგუფება—გადმოჯგუფება, მთელი რიგი ისტორიული გადასხვაფერებისა.

არ იცვლება მხოლოდ ერთი მოვლენა: არ იცლება **ოცდაექვსი მაისი**; ის რჩება იქ, სადაც დაიბადა, უცვლელათ, შეუდრეკელათ, ამაყათ.

და ეს იმიტომ, რომ მისი ძირი, მისი ფესვები ღრმად არის გადგმული ქართველი ერის ჟულსა და გულში, მან სამუდამოთ დაიპყრო მთელი ხალხი, მან აშკარათ დაანახვა მას სასიცოცხლო გზები.

26 მაისს ქართველობა დაეპატრონა თავის თავს, როგორც ერთი მთლიანი ერი, გამოკვეთა ერთი ხალხი ჭირში და ლხინში განუყრელი. მან სთქვა თავისი საკუთარი სიტყვა ცხოვრების ყველა დარგში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ და ნაციონალურ ურთიერთობაში და მან ეს ალბექდა ჯერ საქმით და შემდეგ სიტყვით — კონსტიტუციაში.

მოსკოვმა მოგვტაცა ეს სიდიადე, გასტეხა ჩვენი წყობილება, მოსპო ჩვენი თავისუფლება. ვერ მოგვტაცა მხოლოდ ჩვენი სული, ვერ გასტეხა ერის მორალი, მისი მთლიანობა, მისი გადაწყვეტილება — იყოს თავისუფალი.

26 მაისი ბუდობს თვითეულ ქართველში; ის აღარ ფრიალებს გამოჩენილათ საქართველოში. ის ფრიალებს გამოუჩენელათ ყველა ქართველში. აი ეს მორალური ძალა, ეს სულიერი სიმტკიცე და ურყევი იდეალი არის აუღე-

ბელი სიმაგრე. რასაც შეასკდება მტერთა ერიშები. ის უტყუარი თავდებია მისი საბოლოო გამარჯვების. ამ ისტორიულ სტიქიას ვერავითარი ძალმომრეობა ვერ მოსპობს, ვერ შეაჩერებს; იგი გადალახავს ყველა დაბრკოლებებს და ამა თუ იმ გზით აღსდგება, — 26 მაისი კვლავ აშკარათ გამოანათებს და ერის მსვლელობას უმეთაურებს.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობა ცვალებადია; ხან ერთი ზარი ჩამორეკს, ხან მეორე. ამ ისტორიულ ზვირთთა სრბოლაში, ამ არეულ-დარეულ ხანაში ქართველი ერის პატარა ნავი გასცურავს სამშვიდობოზე მხოლოდ ერთი საშუალებით — მისი მთლიანობის შენახვით, მისი თავის თავის ერთგულებით, მისი 26 მაისით.

ნ. ჟორდანია.

## Le 26 Mai

Le 26 Mai est le jour où la nation et le peuple géorgien ont retrouvé leur liberté et leur indépendance.

C'est le jour où la Géorgie, unie et consciente, s'est manifestée pour la première fois sur la scène mondiale et a donné naissance à sa nouvelle histoire.

C'est le 26 Mai qu'elle a prononcé des paroles nouvelles, tracé le chemin à suivre et, pour la première fois, s'est adressée à l'avenir :

*Je suis mon propre maître,*

*Je dois être libre.*

Autour de nous tout change, une nouvelle trame se tisse, faite de changements historiques.

Seul le 26 Mai demeure. Il reste là où il est né, immuable et fier, car ses racines sont profondément ancrées dans l'âme et le cœur de la nation géorgienne.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Le 26 Mai a rendu aux Géorgiens leur souveraineté et lui a clairement montré le chemin de la vie.

Le 26 Mai a conquis à jamais le peuple tout entier et le sentiment de leur unité indéfectible dans le malheur et le bonheur. Les Géorgiens ont pu enfin s'exprimer librement dans tous les domaines : politique, économique, social, national. Ils l'ont affirmé dans la Constitution, par la parole et par l'action.

Moscou nous a ravi nos droits et notre liberté. Elle n'a pu nous voler notre âme, ni briser la force morale, unité et la détermination du peuple à redevenir libre !

26 Mai demeure dans le cœur de chaque Géorgien. Il ne flotte plus ouvertement dans notre patrie, mais secrètement dans l'âme de tous les Géorgiens.

C'est cette force morale, cette conviction profonde, cet idéal inébranlable qui sont nos remparts. Ils nous garantissent la victoire finale, quelle que soit la puissance de l'ennemi ! Rien ne pourra anéantir, rien ne pourra stopper ce bouleversement historique. Il surmontera tous les obstacles et triomphera tôt ou tard.

Le 26 Mai éclairera de nouveau et conduira les destinées du peuple géorgien.

Aujourd'hui, la situation mondiale est changeante. Par ces temps houleux et incertains, le frêle esquif de la nation géorgienne arrivera à bon port, à une seule condition :

LA CONSERVATION DE SON UNITÉ
ET DE SON 26 MAI !

Noé JORDANIA.

ფრანგულათ თარგმნა ახმათ ყორდანია ფალავასამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

--.--

მოვა დრო უზარ-მაზარნი
მთანიცა შეიძრებიან,
ქარი დაჰქროლებს მედგარი,
ღრუბელნი განიმჭვრევიან!

ზევით ცა ლაჟვარდოვანი,
ქვეშ მიწა შეირხევიან,
ან გულნი ოდნავ მფეთქავნი,
ლომ-ვეფხვსაც მოერევიან!

მოვა დრო დაჩაგრულები ,
მამაცად მოიქცევიან,
ერთის წადილით შეკრულნი
ერთს ნდომათ გადიქცევიან!

გრგვინათ ასტყდება ყიყინა,
მშიშარნი გაიქცევიან,
ქვიტკირნი შეუღლებულნი
ჩაინგრევ- ჩაიქცევიან.

--.--

ალ. ყ-გი.

# 26
# მაისი



66 წლის
წინეთ საბჭოთა რუსეთმა,ქართველ ერს მოსტაცა

უდიდესი საუნჯე, დამო უკიდებლობა და მის ბაგეს ძალით სისხლიანი სიჩუმის სარქველი დაადო. თავისუფალ საქართველოს დაპყრობა მოსკოვის წითელ იმპერიალიზმის მიერ,რომელიც მოგვადგა ვით გრიგალის სვეტი იყო უდიდესი ტრაღედია ჩვენი ერის ისტორიული ჩარხის უკუღმა მოტრიალებისა, რომელმაც ერის ნება სურვილით მოპოვებული დამოუკიდებლობა,თავისუფლება, გახადა მსხვერპლი დესპოტიის.
26 მაისის აქტი 69 წლის წინათ შესრულებული, რომელსაც თავის მნიშვნელობით, ბადალი არა ჰყავს საქართველოს ისტორიის ანალებშიც, იყო ბუნებრივათ წარმოშობილი საერო გამარჯვება 117 წლის შეუწყვეტელი ბრძოლისა და პროგრესის მსვლელობის.
ამ ერთ საუკუნეზედ მეტი შეუწყვეტელი ბრძოლებით ქართველმა ერმა დაამსხვრია მეფის რუსეთის ბატონყმო-

ბის მძიმე ბორკილები და 26 მაის 1918 წელს მთელი ქართველი ერის დავალებით ნოე ჟორდანიამ ამცნო მსოფლიოს:"ამიერიდან საქართველო, თავისუფალი სუვერენული სახელმწიფოა, და ფორმად მართველობისა ირჩევს დემოკრატიულ წყობილებას".

ამ დღიდან ხალხს მიენიჭა სოციალურ- პოლიტიკური უფლებები,შეუქმნა თავისუფალ ცხოვრების პირობები და ხელი შეუწყო მცხოვრებთა წარმატებას უკეთეს მომავლისაკენ. ---- ამ დიდ -------------------- გარდაცხების ხანაში ჩვ ენი ერის დიდი პოლიტიკური მოღვაწენი, მეცნიერნი, ხელოვანნი გამოთქვამდენ ქართველი ერის მისწრაფებებს მას ემსახურებოდენ, აუმჯობესებდენ ჩვენი ხალხის ყოფა ცხოვრებას,სამართლიანობის დამყარებით და ამდიდრებდენ მათ გონებრივ სალაროს.

26 მაისის დიადი იდეის, ძმობა ერთობის მაღალი სულისკვეთებით თავისუფლებით და სამართლიანობით გაცავებულ, აღფრთოვანებულმა ქართველმა ერმა მოიშორა რა სისხლ დაუღვრელად რუსეთის დიდი ხნის ფეხმოდგმული ბატონობა, მისი ბედ-იღბალი მან მიანდო მის მიერ დემოკრატიულ გზით არჩეულ ეროვნულ მთავრობას, რომელსაც მხარს უჭერდენ, ქალნი და კაცნი, ყველა კლასისა და წოდებისა, ყველანი ვინც ათეეული წლების განმავლობაში აწარმოებდენ თავგანწირულ , თავდადებულ საამაყო უთანასწორო ბრძოლებს ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

ეროვნულ მთავრობის პირველი აქტი იყო უზრუნველყოფა და თავისუფლება ყველასათვის სიცყვის, პრესის, კრებების, სარწმუნეობის და ეროვნული უთანაწორობის გაუქმების.არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრება, თანასწორ საარჩევნო ნიადაგზე; სადაც წარმოდგენილ იყვნენ

დემოკრატიულ გზით არჩეულნი ყველა პოლიტიკური პა-
რტიების წარმომადგენლები. დამფუძნებელმა კრებამ
შეიმუშავა და ერთხმად დაამტკიცა საქართველოს დემო-
კრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუცია და ერი,ერთი მთ-
ლიანი გატაცებით, ხიბლით შეუდგა თავის ნორჩი სახე-
ლმწიფოს მშენებლობას, ზეაღსვლას , წინ სვლას სამა-
რთლიანობასა და თანასწორობის ნიადაგზედ.

კრემლში მყოფ ავ კაცებმა , მოსკოვის წითელი იმპე-
რიალიზმის მოციქულებმა გასტეხეს სიტყვა მოცემული,
თავს დაგვესხენ მუხანათურათ , ჩვენი სიგელი,ჩვენი
გუჯარი დამოუკიდებელ საქართველოს ცნობის,მათ მიერ
ბეჭედ დასმული საბჭოთა რუსეთმა თავს გადაგვახია
და დროებით დაგვიბნელა 26 მაის მოპოებული ჩახჩახა
დღე.

თეთრი გიორგის სამშობლოში ყველას აღშფოთებს, რომ
ჩვენი ვაზი დღეს ძალით გადაახვიეს უცხო ჭიგოს, რომ
უცხო ხიშტმა მოგვტაცა თავისუფალ ერთა კავშირში
ჩვენთვის განკუთვნილი ადგილი და გაგვიუქმა ერის
ნება სურვილით დამყარებული დემოკრატიული რესპუბლიკა.
ვერავითარი ძალა ვერ დაგვავიწყებს უკვდავ 26 მაის,
ვერავითარი ძალა ვერ შესწყვეტს ქართველი ერის მი-
სკენ სრბოლვას, რადგან მისი ღიმილის ანაბეჭდი სა-
მუდამოთ, წაუშლელად სახოებით ინახება ყველა ქართვე-
ლის გულში, ისაა მარადული, რომლის განუყრელი და
ერთგული მსახურია მისი მშობელი საქართველო.
სამყაროში არაფერია ქართველისათვის ულამაზესი მისი
ქვეყნისა,და უმშვენიერესი 26 მაისისა.

უკვდავია დიადი 26 მაისი, რადგან მისი ტრფობის გა-
ლავნიდან ქართველ ხალხს ერთი ნაბიჯიც არ მოუცვლია,
ამიტომაა ის მარადიული.

26 მაის, ქართველმა ერმა ამოგლიჯა ნოე ჟორდანიას მეთაურობით რუსეთის მეფის იმპერიაშიდ მალით ჩანთქული საქართველო და განახორციელა დიდი ილიას აზროვნების უკვდავი ანდერძი"ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს".

26 მაისი ქართველი ერისათვის არის, როგორც დედა, დედა, ცჴვილი კეთილი და ხათნო დედი.

26 მაისი ქართველი ერისთვისაა, ისე როგორც შვილი არის დედის ვარდი, დედის გულის ნეცარება, დედის მზე და დედის მთვარე, სალოცავიც და ხატებაც. და ამიტომ ჩაუქრობელი რწმენით, შეუპოვარი სიძლიერით 26 მაისი კვლავ გამობრწყინდება და თეთრი გიორგი თეთრ ცაიჭზე შემართული საქართველოს სამ ფეროვან დროშით კვლავ აადერადებს ჩვენს ზურმუხტ სამშობლოს ცის კიდურებს.

--..--

ლევან ფალავა.

## 26 მაისი.

-..-

26 მაისი ქართველი ერის განხლების და აღორძინების ეპოქალური თარიღია, მისი მყოფელი "ლუჩა ეცერნელ". 26 მაისი საქართველოს ცხოვრების სიბრძნეა, რომელიც ქართველი ერის მარად არსებობის, მის უკვდავების იდეიას გამოხატავს.

მაისი სიცოცხლისა და სიხარულის ფეა, წლის კალენდარულ სფეროში, ის განსაკუთრებით გამოიყოფა თავისი უხვი, აყვავებული წალკოტით, მომხიბლავი ფერებით, თავის სულით და გულით.

პოეტების და მწერლების მიერ შექებული, ის ანხორციელებს მაღალ გრძნობათა იდეალებს.

სწავლულ მეცნიერების მიერ დიდი ხანია რაც შემჩნეული მაისის თვის თავისებური ორგინალობა, მათი შენიშვნით , ყველა ღრმა შინაარსიანი ნაწარმოები, არის ის პროზაულ ლიტერატურული, თუ მეცნიერულ ხასიათის, დაწერილია გაზაფხულის აპრილ-მაისის თვეებში, გარდა ამისა, ის მდიდარია სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენებით.

ქართველი ერის განახლება მაისის თვით იწყება, და ეს თარიღი ისტორიულად დაკავშირებულია მის ყოფითი სინამდვილესთან.

ქართველი ერის შეუწყვეტელი ბრძოლა გარეშე მტრების წინააღმდეგ, და ის შეუპოვარი თავგანწირვა, რომელიც თან ახლავს მის სულსა და გულს, თავისუფლების იდეასთან არის დაკავშირებული.

ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური ანალიზის შედეგად, თავისუფლების ცნებაში შედის, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, შვილობიანობის, თანხმობის, სიყვარულის, თანასწორობის, ეკილიბრის, არმონიულობის, მოვალეობის მოხდის, სამართლიანობის, და სხვა უმაღლესი ხასიათის გრძნობათა კომპლექსი, თვით სამყაროს რეალური ყოფიერება, სწორედ ამ ეკილიბრის და არმონიულობის იდეის გამომხატველ სინამდვილეს წარმოადგენს.

გოეთემ ეს არმონიულობა თვით ბუნებაში დაინახა, კანტი დიდათ იყო მოხიბლული, ღამის ცის ბრწყინავ ვარსკვლავებით, რომელშიდაც, ის არმონიულობის უმაღლეს იდეის სინამდვილეს ხედავდა.

ეკილიბრი და არმონიულობა კოსმიური ხასიათის ფენომენია.

სოციალურ ყოფის სინამდვილეში ეს არმონიულობა, დემოკრატიულ წყობილების სამყაროში იჩენს თავს.

დასავლეთ ევროპის სოციალურმა სამყარომ, თავისუფლების პრინციპზე აღმოცენებულმა, მეტ-ნაკლებად აღრე გამოამჟავნა ეს სინამდვილე: ეკილიბრი და არმონიულობა.

ეკილიბრი და არმონიულობა სოციალურ ყოფიერების სინამდვილეში, მიზნობრივად მთლიანი და მარადიული ფენომენია. ქართველი ერი თავის ხანგრძლივ არსებობის ცხოვრების გზაზე, ამ იდეის(თავისუფლების) განხორციელების წადილს ამჟღავნებს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, დასავლეთ ევროპის სამყარომ აღრე გამოამჟავნა არმონიულობის დაეკილიბრის პრინციპი, და ამით წინ წასწია სოციალური ცხოვრების არსი. ამაზე დიდი გავლენა იქონია სოციალურ ხასიათის

მოვლენებმა, ისევე როგორც ქრისტიანულმა რელიგიამ, ქრისტიანული რელიგია სხვა ყველა დანარჩენ რელიგიურ სამყაროსთან შედარებით უფრო უმანიურია და კაცთ მოყვარე (უახლოვება ბუდიზმი) როგორც ამას ზუსტად შენიშნავს მოტოზრიანი.
მუსულმანურ სამყაროს ამის მსგავსი რამ არაფერი აქვს არც შეიძლება, რომ ქონოდა, და ეს იმ მიზეზით, რომ ის, ჩაჭედილი აღმოჩნდა თავი თავში, მისი რელიგიური სამყარო უპერსპექტივო სინამდვილეს გამოხატავს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ მუსულმანური რელიგია, როგორც ამას ერთი ინგლისელი სწავლული თეოლოგი აღნიშნავს, უფრო პოლიტიკურ ხასიათის სამყაროს წარმოადგენს, ვიდრე რელიგიურს.
მოვიგონოთ ამ სარწმუნოების დამაარსებელი მაჰმადი, რომელიც ხელში ხმლით იზრდოდა და სისხლს ღვრიდა, რაც სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ყოვლად შეუწყნარებელია, ამიტომაა, რომ მისი სამყარო ტოტალიტარულ აგრესიულია, ვიდრე თავისუფალ დემოკრატიული.
აქვე მინდა გაკვრით აღვნიშნო აგრეთვე ებრაელების სარწმუნოების სამყაროც.
ის შეიქნა ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლის დროს (ზოგი მეცნიერი იმ აზრისაა, რომ ერთი ნაწილი "ძველი აღთქმის"ეგვიპტეშია დაწერილი), ანუ მათი უდაბნოში ხეტიალის დროს, ესე იგი პოლიტიკურად არა ნორმალურ პირობებში.
მოსეც იზრდოდა სისხლს ღვრიდა, ბოლოს, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, ის მოკლულ იქნა.
მოვიგონოთ მოსეს ცნება"კბილსა წილ კბილი", "თვალსა წილ თვალი", ეს არ არის რელიგიურობის გამომხატველი აქტი(ასეთი ადგილები ბევრია"ძველ აღთქმაში").

რამდენადაც, რელიგია მშვიდობიანობასა და კაცთმოყვა-
რეობის იდეას ქადაგობს. ქვეყანა, სადაც თავისუფლე-
ბის იდეალი განხორციელდა, მუდამ სულიერ და ფიზიკურ
პროგრესის პროცეშია, ხოლო იქ სადაც ტირანია და დი-
ქტატურა მეფობს, ყველაფერი დარღვეულია, და სოციალ
ყოფიერების სინამდვილეში, ქაოსი და უმიზნობაა გამე-
ფებული.

26 მაისი ქართველი ერის დიდბუნოვანი რეალობაა, რო-
მელშიაც ერის ერთობლივი სულისკვეთებაა გამოხატული,
ის მტკიცედ არის დაკავშირებული ისეთ მაღალ გრძნო-
ბებთან, როგორიცაა თავისუფლება და სამართლიანობა.
რამდენადაც 26 მაისი, ერის თავისუფლების გრძნობა -
სთან არის დაკავშირებული, იმდენად ის უნივერსალური
ხასიათისაა,და როგორც ასეთი დაუმარცხებელი და დაუ-
კებელი რჩება.

<u>ნ ო ე  ყ ო რ დ ა ნ ი ა ს</u> -- სახელთან არის დაკა-
ვშირებული 26 მაისის იდიალი, მან გამოხატა ერის საე-
რთო სულისკვეთება, მისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ
და სამართლიანობისაკენ.

ნოე ყორდანიას აქცია სცილდება ეროვნულ საზღვრებს,
და იდებს საერთაშორისო და საკაცობრიო ხასიათის ასპე-
ქტს.

ქართველი ერი კვლავ მოიპოვებს თავისუფლებას, ქვე -
ყნის სუვერენობას, მისი გმირული ბრძოლა ამისთავდებია

<u>დ ი დ ე ბ ა -26 მ ა ი ს.</u>

ქუთაისელი.

## პ ი რ ვ ე ლ ი  2 6  მ ა ი ს ი .

ტიდი აქტების დღე სეიმის უკანასკნელი სხდომით დაიწყო. სხდომას თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

ნ. რამიშვილი აკეთებს მოხსენებას საზავო მოლაპარაკებისა და მიმდინარე მომენტის შესახებ. მდგომარეობა ტრაღიკულია. ირკვევა, რომ ამიერკავკასიის შემადგენელი ნაწილები ვერ არიან შეთანხმებულნი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ძირითად საკითხებში. ცხადია ასეთ პირობებში ამიერ-კავკასიის მთლიანი არსებობა განწირულია. მთელ რიგ ორატორების სიტყვების შემდეგ სეიმი ღებულობს რეზოლიუციას, რომლითაც აცხადებს ამიერ-კავკასიის მთლიანობას დარღვეულად და სეიმს დაშლილად.

სეიმის დაშლის შემდეგ იწყება საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა. მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით ეგებება საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას, რომელიც მომენტის შესაფერ სიტყვით მიმართავს სხდომას. ამ სიტყვის მთავარი შინაარსი ასეთია:

მოქალაქენო. თქვენ იყავით დღეს მოწამე ერთი ისტორიული, იშვიათი, მაგრამ ტრაღიკული აქტისა. დღეს ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და საძირკველი ეყრება მეორე სახელმწიფოს. ეს მეორე სახელმწიფო არ არის პირველის მოწინააღმდეგე. მათ შორის შური და მტრობა არ არსებობს და თუ აღსდგა პირველი სახელმწიფო, მეორეს ამის საწინააღმდეგო არაფერი არ ექნება, პირიქით მეგობრულად ხელს გაუწვდის მას. დაე იცოდეს ყველამ, რომ ახალი სახელმწიფო არ იქნება მიმართული არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ (ტაში).

მისი მიზანია დაიფაროს დღეს თავი და ხელი შეუწყოს იმის აღგომას, ვინც დაცემულია (ტაში).

იცით რომ საქართველო ბრძოლის ქვეყანაა. ის საუკუნოებით მამაცურად იბრძოდა ყველა იმ ერისათვის, რომელნიც მოსახლეობდენ მის ფარგალში (ტაში). ვიტყვი მეტსაც: ის მფარველობდა იმ ერებსაც, მის ფარგლებს გარეშე რომ იყვენ. და თუ ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას მის არსებობის ისტორიას, მას შერჩა მიდრეკილება თავისი ინტერესები შეუერთოს სხვის ინტერესებს. ამიტომ არც ერთი სახელმწიფო არ უნდა განიცდიდეს მის დაარსებით აღშფოთებას.

აქ, სეიმში ითქვა, რომ არ არის ისეთი ხალხი რომელიც შურით, მტრობით უცქეროდეს საქართველოს და ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი სახელმწიფო სავსებით გაამართლებს ამას.

მე მივაქცევ დღეს განსაკუთრებით ყურადღებას სომხის ტრაღედიას. ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა მათ მხარეზეა.

დღეს ერი ჩვენგან მოითხოვს ისეთ მფარველობას, როგორსაც ის თხოულობდა ასი წლის წინეთ (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ გვსურს აგრეთვე კეთილ განწყობილებაში ვიყოთ ამიერ კავკასიის მუსულმანებთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინიც დაიარსებენ ასეთივე სახელმწიფოს და მერე ხელს გამოგვიწვდიან, რომ შევერთდეთ (ტაში). ეს მეგობრული დამოკიდებულება ჩვენს გარეშე მყოფ ერებთან იქნება მკვიდრი. მაგარი საძირკველი, რომელზედაც დაეყრდნობა და გამაგრდება ის ნორჩი სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ დღეს ვაარსებთ. აქ ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში არიან ისეთი ერები, რომელნიც უმცირესობას წარმოადგენენ. ეს ერები იქნებიან ისეთივე უფლებებით აღჭურვილნი, როგორითაც ყველა.

ჩვენი იდეალია დიდი კავშირის შედგენა ამიერ-კავკასიაში. აი ეს კავშირი იქნება შემაერთებელი ძაფი, საერთო ხიდი, რომ კავშირში მოქცეული ყველა სახელმწიფოები ერთად გამოვიდენ და დაიცვან სამშობლო. მაშინ იქნება შესრულებული ის, რის შესრულებაც ახლა ვერ მოვასწარით ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო. ის ხალხი, რომელიც ახლა მიილტვის ამიერ-კავკასიის მთლიანობიდან, ისევ გამობრუნდება და დავდგებით ერთ საერთო დროშის ქვეშ, რომ ერთად გავსწიოთ ნეტარ მომავლისაკენ (ხანგრძლივი ტაში).

ამ შესავალი სიტყვის შემდეგ ნ. ჟორდანია კითხულობს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შემუშავებულ დამოუკიდებლობის აქტს. აქტის ყოველივე ფრაზას დარბაზი მხურვალე ტაშის ცემით და «გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას» ძახილით ეგებება.

სანამ ეროვნულ საბჭოს სხდომა გრძელდებოდა, სასახლის წინ მოგროვდა ზღვა ხალხი. საზოგადოებამ უკვე იცოდა, რომ იმ დროს სასახლის თეთრ დარბაზში იბადებოდა ახალი საქართველოს დამოუკიდებლობა და მოუთმენლად მოელოდა დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას. საზოგადოებიდან ვიღაცამ წამოიძახა: მოვითხოვოთ გამოვიდეს ნოე ჟორდანია და აქტი წაგვიკითხოს». ამ წამოძახილს აყვა ზღვა ხალხი—«აქტი, წაგვიკითხეთ, აქტი! ვთხოვთ ნ. ჟორდანიას გამოვიდეს»...

ხალხის სურვილი დაკმაყოფილებულ იქმნა: სასახლის ბალკონზე გამოდიან ნ. ჟორდანია და საბჭოს წევრები. გრიალებს დაუსრულებელი ტაში; იკითხება დამოუკიდებლობის აქტი. «გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს», «გაუმარჯოს განთავისუფლებულ სამშობლოს»,—გაისმის ყოველ მხრიდან. საბჭოს წევრები და ხალხის საყვარელი ორ-ტორები სიტყვებით მიმართავენ ხალხს და უხსნიან წაკითხულ აქტის მნიშვნელობას.

ზღვა ხალხის აღფრთოვანება უმაღლეს წერტილამდე აღწევს; ახლობელი და შორეული, ნაცნობი და უცნობი სიხარულის ერთ გრძნობაში შედუღებულნი ერთმანეთს ეხვევიან და ულოცავენ.

ას ოცი წლის მონობის შემდეგ კვლავ მჭადრე-ფით აღსდგა საქართველო



## პ ი რ ვ ე ლ ი   მ ა ი ს ი

პირველი მაისი შრომის დღესასწაულია. შრომის და პიროვნების თავისუფლება, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესობა და მათი ეკონომიური და კულტურული წინ წაწევა, დათრგუნვა ყოველივე ძალადობისა, მოსპობა მილიტარიზმის და იმპერიალიზმისა, ყველა ერთა თავისუფლება და მათ შორის მშვიდობიანობის და სოლიდარობის დამყარება, საერთო სოციალ-ურ-პოლიტიკური სამართლიანობის მოპოვება—აი რას მოითხოვს პირველ მაისს მშრომელი ხალხი და რა ლოზუნგებით გამოდის ის ამ დღეს.

მაგრამ ყველა ეს მოთხოვნილებები საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში ძირიანათ უარყოფილია. არსად იქ არ არსებობს არც შრომის და არც პიროვნების თავისუფლება; მშრომელ თ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე ფიქრიც კი აკრძალული აქვთ; ყოველგან მეფობს ჩეკა-პოლიციის უხეში თვითნებობა; ხალხის საუკეთესო შვილები განუკითხავათ იჟლიტება; ერებს წართმეული აქვთ თავისუფლება და თვითგამორკვევის უფლება; ხელისუფლ-ება ცდილობს საბჭოთა კავშირში ერთი ერი დანარჩენ სხვა ერებზე გააბატონოს. ყველა ისინი კი სოციალურათ და პოლიტიკურათ იტანჯებიან.

დღეს საქართველოს მშრომელი ხალხი ვერ დღესასწაულობს პირველ მაისს ისე, როგორც ამას წინეთ შვებოდა და ვერ აყენებს საამისო ლოზუნგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას აკრძალული აქვს სთქვას და დასწეროს სრული სიმართლე მშრომელთა პირველ მაისის მანიფესტაციებზე ამ ორმოცი წლის წინეთ ჩვენში, ან შესაფერისათ აღწეროს და მოიგონოს პირველი მაისის დიადი დღეები თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში.

ჩვენი მტრები კი დაპყრობილ ჩვენ სამშობლოში ყოველ პირველ მაისს საოკუპაციო ჯარების სამხედრო აღლუმს მართავენ, ქუჩებში ტანკები და ზარბაზნები გამოაქვთ და ამის საყურებლათ ჩეკისტები ხალხს იარაღით ერეკებიან. მჩაგვრელები ცდილობენ ჩაგრულთ თავიანთი ძალა აჩვენონ, ისინი დააშინონ და მათ ბრძოლის ხალისი წაართვან.

საბჭოთა რუსეთში პირველი მაისი უსულო და უშინაარსოა. მას მაღალი მორალი და იდეალი ამოაცალეს და მჩაგვრელ იმპერიალისტების სადემონსტრაციო დღეთ გახადეს. დღე მხიარულებისა და სიხარულისა მძიმე და მწარე ფიქრების დღეთი შესცვალეს.

პირველი მაისი კომუნისტებმა მშრომელთა და ერთა დამონების დღეთ გადააქციეს. მაგრამ მჩაგვრელთა და დამონებულთა შორის ბრძოლა გაგრძელდება მანამდე, სანამ ეს უკანასკნელნი თავისუფლებას არ აღიდგენენ.

26 მაისის აღდგენა საქართველოში კი პირველ მაისსაც გაანთავისუფლებს ბოლშევიკების ტყვეობისაგან.



1929 წ. №2

**ბრძოლის ხმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიადი 26 მაისი ნოე ჟორდანიას ხსოვნის დღეცაა.

--..--

დიადი 26 მაისი საქართველოს აღდგომის დღეა, და ამიტომ ერთდა იმავე დროს მისი მიმქრმელის ნოე ჟორდანიას ხსოვნის დღეა.

34 წელი გვაშორებს ქართველი ერის სიამაყის ნოე ჟორდანიას სამუდამოთ განშორებას, რომლის პირითაც მთელი ქართველი ერის დავალებით მხოლოდ ემცნო მთელი თავის მომჯადოებელი სილამაზით უკვდავ 26 მაის, საქართველოს ხუვერენულ სახელმწიფოთ გამოცხადება.

26 მაის 1918 წელს , ქართველი ერი აღტაცებით, სიყვარულით, თავდავიწყებით , აღფრთოვანებული სიხარულის ცრემლებს აფრქვევდა და ტაშს უკრავდა მის სწორუპოვარ შვილს დიდ ნოეს, რადგან" ნოე ჟორდანიამ საქართველო აღმართა, როგორც დიადი მთლიანი, იგი დადგა ყოველ განხაზღრულევების მაღლა და გამოცხადდა, როგორც დაუშრეტელი უზენაესი არსი"(გრ. რობაქიძე).

ამიტომ ხანამ საქართველო იარსებებს ის დარჩება მისი ხიბლი და სილამაზე, რომელიც მშვენებაა ქართული ეროვნული ტაძრის და მის საუცხოო სამკაულად ითვლება.

--..--

### პატივცემულნო მკითხველნო!

აქვე გთავაზობთ განსხვენებულ საქართველოს პირველ პრეზიდენტზე. მხოლოდ ორ წერილს: 1.- ან განსხვენებულ საქვეყნოდ ცნობილ პროფესორ მიხეილ წერეთლისას .
2.---- მორიგ ემიგრანტ ქართველისას და ორ ლექს.

--..--

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნოე ჟორდანია

(† 11 იანვარს 1953).

გარდაიცვალა საუკეთესო დიდი ქართველი. ხანგრძლივი იყო ცხოვრება მისი. იგი სრული 85 წლისა იყო, როდესაც უზენაესმა მას თავისთან მოუწოდა. მწერალი, მოაზროვნე, პოლიტიკოსი, რომელიც ახალგაზრდობიდანვე იღწოდა თავის იდეალთა განხორციელებისთვის და თავისი ერისათვის, დღეს ჩვენს შორის აღარ არის.

მას უგლოვენ მისნი მეგობარნი და თანამოღვაწენი მისი ღვაწლისა. მე პირადი უმცროსი მეგობარიც ვიყავი მისი და დამფასებელიც მისი ღვაწლისა, მაგრამ მისი პიროვნების ღირსებისა. ამიტომ მსურს მისთვის ორიოდე სიტყვა ვთქვა.

არ მინდა მისი ბიოგრაფია ვთქვა ამ სიტყვით, — ცხოვრების აღწერა მისი მოღვაწის საქმეა. მე მინდა მოკლედ შევეხო არსებას მისი ბუნებისა და მის ღვაწლს, რომელიც მან თავისი ქვეყნის წინაშე გასწია, მის საქმეთ. საუკუნეების თქმა დიდ-კაცთათვის, ქრისტეს მათ საქმეთა წერილებსა და იავი, და სხვა ამგვარი რამ, არაერთხელ თქმია და არასოდესაც არ იღეს არაფერი კარგი უთქვამი. ამას გარდა, დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკოსთაგანაც ვის არ მოუხდენია შეცდომა? რა არის ნოე ჟორდანიას შეცდომები ამ „შეცდომებთან" შედარებით, რომლების გამო დღეს კაცობრიობა კატასტროფის წინაშე დგას!

ნოე ჟორდანიას მსოფლიო-ხედვა მარქსისტული იყო. მარქსისტული იყო მისი ახალგაზრდობის ხანაში მსოფლიო-ხედვა ევროპისა და რუსეთის სოციალისტთა უმეტესობისა. იგიც გაიტაცა ამ დიდმა მოძრაობამ და წარსული საუკუნის მე-90-ე წლებიდან იგი ორმოცი წლის განმავლობაში თავის მსოფლიო-ხედვას, თავის სოციალურ და პოლიტიკურ იდეალებს უქადაგებდა ქართველ მუშებს და გლეხებს და ქართველი ერის სხვა ნაწილებსაც, — მთელს ქართველ ერს. მაგრამ მისი ღვაწლი მარტო კალმით და სიტყვით არ ამოიწურებოდა. მარქსიზმი რევოლუციური მოძღვრება იყო, მოძღვრება კლასთა ბრძოლისა, ბრძოლისათვის კი საჭირო იყო დარაზმვა ხალხისა, მისგან განსაზღვრული იდეოლოგიის მქონე მებრძოლი და შეგნებული ნაწილის შექმნა. და ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა პირველად დარაზმეს განსაზღვრული სოციალურ-პოლიტიკური იდეალის მქონე ქართველობა: მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, თვით თავად-აზნაურობის მოწინავე ნაწილიც შედიოდა მათგან შექმნილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ეს იყო დიდი საქმე მათგან ქმნილი მაშინდელ მძიმე პირობებში ცარისტული რუსეთის ბატონობისა საქართველოში, და ჩვენც, არა-მარქსისტებმა და ნაციონალისტებმა დიდი საქმე მოწინააღმდეგისაც დიდად უნდა ვცნოთ.

ქართული ნაციონალიზმი მაშინ იდეურად ძლიერი იყო, მაგრამ ხალხის დარაზმვა ეროვნული თავისუფლების იდეალის განხორციელებლად მან ვერ შეძლო. ქართულ მარქსიზმს კი რუსეთის რევოლუციური ძალებთან ერთად მოქმედებით მიეცა შესაძლებლობა თვით-მპყრო-

ბულობის დაცვის, სოციალური რეფორმები მშრომელ კლასთათვის და დამყარება დემოკრატიული თავისუფლებისა. ამ მიზანთა მიღწევის შემდეგ მისი რიგებიდან ერთი კლასი მოიპოვებდა დაკარგულ უფლებებს. ნაციონალისტური ბრძოლის წარმოება უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ, თვით ამ იმპერიის რევოლუციონერულ ძალთა დაუხმარებლად, მას სრულიად უიმედოდ მიაჩნდა.

ამ ნიადაგზედ სწარმოებდა ბრძოლა სხვა და სხვა მიმართულების ქართველ ნაციონალისტებისა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ჩვენში, როგორც ყველგან, ზშირად მწვავე იყო და მავნებელი მთელი ქვეყნისათვის, ვინაიდან ქართველი სოციალ-დემოკრატიის არც კლასთა ბრძოლის ქადაგებას და არც ქართველი ხალხის მიმართვას წმინდა სოციალურ-პოლიტიკური იდეალებისაკენ ქართველი ერის მთლიანობა არ დაურღვევია. დიდი ერი და მთელი ქართველი ერი, განურჩევლად პარტიათა, სოფლის ქალაქის, თუ რა იყო მისი ნება და სურვილი.

ქართველი სოციალ-დემოკრატიის მთლიანი მოღვაწეობის ნაწილი, ე. ი. ეროვნული ნაწილი იყო, რომელსაც საქართველოს პოლიტიკური უფლებანი არ ავიწყდებოდა. ხოლო ნოე ჟორდანია და მისი პარტიის უმეტესობა, მიუხედავად მათი ბრძოლის ტაქტიკისა, რომელიც თითქოს ამ უფლებათა ეროვნულს მოსპობდა, არ იყვნენ ქართველი ერის კანონიერი პოლიტიკური უფლების მოწინააღმდეგენი. თვით ნოე ჟორდანია საქართველოში იყო და არის ლიბერალის ინტერნაციონალისტი, იყო ქართველიც სწორედ და გახდა დიდი ქართველი პატრიოტი, იყო ქართველად უხდიდა თავის იდეალებს ქართველ მშრომელთა. რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ყრილობაზე 1902 წელს იგი მოითხოვდა მეორე ქართველ სოციალ-დემოკრატიულ ერთად საქართველოს ავტონომიას, ავტონომიის აღდგენას სხვა ჩაგრულ ერთათვის რუსეთის იმპერიის წიაღში, და რომელსაც დიდი ყმა, ასევე ქალაქის, თუ რა ვერ უფლებანი სწადდა მას მისი მშრომელი ერისათვის და სხვა უფლება-ახალი ერთათვის.

პირველი დიდი ომის დროს, როდესაც ქართველ ნაციონალისტთა ჯგუფი გერმანიაში მოქმედებდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების აღსადგენად, გამოწვეული სხვა საქართველოსთან, გარდა ამ ჯგუფის თანამოაზრეთა, ნოე ჟორდანიასგან შეიქმნა, ინტერნაციონალისტ სოციალ-დემოკრატისაგან, არა ნაციონალისტური პარტიათაგან. ნოე ჟორდანიამ იცოდა, რომ დიდი ყმა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ერთა განთავისუფლებისა და მარჯვედ დროის უცდიდა, რომ მისი ქვეყნისათვის აღედგინა დიდი ხნიდან დაკარგული სახელმწიფოებრიობა. მან იცოდა, რომ მას უნდა ეკისრა ეს დიდი საქმე, რადგანაც იგი იყო წინამძღოლი ქართველი ერის დიდი უმეტესობისა.

ნოე ჟორდანიას მუდამ ლამპრად არ მიუძღოდა კავკასიის ერთა სოლიდარობის იდეის შექმნისათვის. და როდესაც რუსეთის მმართველობა დაიშალა კავკასიაში 1917 წ. რევოლუციის დროს, აქ იდეით იყო მხოლოდ შესაძლებელი ამიერ-კავკასიის კომისარიატის შექმნა. როდესაც იმ მთლიანის ფრონტიდან მოაწვა საქართველოს და მთელ კავკასიას ნახევრად მილიონი დემორალიზებული და გაბოლშევიკებული ჯარი, ნოე ჟორდანიას ენერგიულმა და ჭკვიანმა ზომებმა და ასეთმავე ზომებმა კავკასიის ყველა ერთა მეთაურობისა შესაძლებელი ჰყო ამ დამლელი მხედრობის შინ გაგზავნა და ამით აცილებინა თავიდან ტალღება, რომელსაც შეეძლო მთელი კავკასიის სრულიად დაღუპვა. ესეც იყო დიდი საქმე. ნოე ჟორდანიასაგან ქმნილი საქართველოსათვის 1917 წელს, რასაკვირველია მთელი ერი, განურჩევლად კლასთა, მის მიმართ მადლით იყო აღსავსე.

1917 წ. აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ჩვეულებ საუკუნეების ქართულ უნივერსიტეტს, და დაარსდა ქართველი ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია იყო. ეს საბჭო შთაგონებული იყო მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობისა. იგი შექმნილი იყო მთელი ერის ნებით, რომელმაც ნოე ჟორდანია თავის მეთაურად სცნო. ამან კვლავ დაუბრუნა ქართველ ერს მისი დიდი ნაწილი, პოლიტიკურად შეგნებული მშრომელი კლასები. ქართველი ერი ახლა ერთი იყო. და საქართველოს თავად-აზნაურობამაც ამ კვლავ გამოვლენილ ერს მთელი თავისი ქონება გადასცა, რაც მას ეკუთვნოდა კოლექტიურად. ეს იყო მისი კეთილშობილური პასუხი ნოე ჟორდანიას ეროვნულ აქტზედ.

შემდეგ, 1918 წელს, საქართველოს და სხვა ქვეყნებს კავკასიისა, — სომხეთს, აზერბეიჯანს, მთას, — სრული შესაძლებლობა მიეცათ დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნისა, როდესაც დაიშალა ამიერ-კავკასიის კო-

მოსსაროვდა. და ეს არ იყო მხოლოდ იძულება გარეთგან, როგორც ლენინს ჰგონია, არამედ გამომჟღავნება მათი პოლიტიკური ნებისყოფის. — 26 მაისს 1918 წლის გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა ას-ჩვიდმეტი წლის პოლიტიკური მონობის შემდეგ, და მის მაგალითს კავკასიის სხვა ერებიც მიჰყვნენ. ნოე ჟორდანია იყო მაშინ ქართველი ერის ხელმძღვანელი და იგი გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი და თავმჯდომარე მისი მთავრობისა. მე არ ვიცი, ვინ შესძლებდა ნოე ჟორდანიას გარდა მაშინდელ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელი მასზედ უფრო დიდი ნაციონალისტი, არა-სოციალისტი, ან თუ გამოაცხადებდა, როგორ იქმნებოდა შესაძლებელი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, თუ მას არ იწამებდა ნოე ჟორდანია და მისგან ხელ-ძღვანილი მშრომელი კლასები, რომლებიც ქართველი ერის დიდ უმრავლესობას შეადგენდენ? საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნოე ჟორდანიას და მისი პარტიის თანხმობის გარეშე საშინაო ომი მოჰყვებოდა და დაამხობდა ახლად შექმნილ სახელმწიფოს.

ხოლო ნოე ჟორდანიას მთავრობა მისი ხელმძღვანელობით ენერგიული ლტოლვით შეუდგა სახელმწიფო აღმშენებლობას. დამოუკიდებელმა საქართველომ 1921 წლამდე იარსება, და რაც ამ მოკლე დროის განმავლობაში საქართველოში გაკეთდა, იმაზედ მეტი უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბევრ ახალ სახელმწიფოში არ გაკეთებულა. დავანებოთ აქ თავი კრიტიკას. მას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელობა აქვს იმას, რაც შექმნა მოკლე დროის განმავლობაში და საფუძვლად უძღოდა საქართველოს ბრწყინვალე მომავლის უკეთეს პირობებში.

ძნელი იყო კრიმინალური, განსაკუთრებით ბოლშევიკური ინტრიგების ალყაში, მაგრამ მთავრობამ ეს სიძნელეებიც სძლია სწრაფად და არა დიდი სისხლის ღვრით. საქართველოს ტერიტორიაც არ მისცემია მეზობლებთან ბრძოლას, მათგან რაიმე წაგლეჯას, მაგრამ თუ თავს დაესხმოდნენ, იგი თავს იცავდა და იმარჯვებდა. დამყარდა მშვიდობიანობა და წეს-რიგი შიგნით და თანხმობა მეზობლებთან, რომლებიც ფასსა სცემდნენ საქართველოსთან მეგობრულ განწყობილებას. უკვე სჩანდა შესაძლებლობა კავკასიის ერთობისა, კავკასიის ერთა კონფედერაციისა, და ეს იყო მესამე დიდი საქმე, რომელთანაც ნოე ჟორდანიას სახელი იყო დაკავშირებული.

კიდევ ერთი რამ მაგონდება, რაც ჩემთვის დაუვიწყარია და საამური, და აგრეთვე ყოველი ქართველისათვის დაუვიწყარი და საამური უნდა იყოს. ყველამ იცის, თუ რა გრძნობებს იწვევს ერში მისი დაპყრობა უცხო ერის მიერ, ერთგვარი ჩაგვრა, გამორიცხვა თავისუფალ ერთა კრებულიდან. ცარისტულმა რუსეთმა, მოწვეულმა საქართველოში მოკავშირედ და დამცველად, საქართველო, ორი-ათასი წლის ისტორიისა და მაღალი კულტურის მქონე, გაუგონრად გააუქმა და 117 წლის განმავლობაში გამარუსებელ პოლიტიკას აწარმოებდა, მოსპო ბაგრატიონთა დინასტია, რომელიც 1200 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებდა საქართველოს, მოსპო დამოუკიდებლობა მისი ეკლესიისა, კანონიერად ცნობილი უკვე მერვე საუკუნიდან, სდევნიდა მის ენას და კულტურას, სკოლებიდან და სასამართლოებიდანაც განდევნა ქართული ენა, და სხვ..

რომელი ერის გულში არ დაგუბდებოდა სიძულვილი მჩაგვრელთა და დამამცირებელთა მიმართ და რომელი ერი არ ისურვებდა მათ შურისძიებას, თუ ამისი შესაძლებლობა მიეცემოდა? ხოლო დამოუკიდებელ საქართველოში არ მომხდარა არც ერთი აქტი შურის-ძიებისა იქ დარჩენილ რუსთა წინააღმდეგ! პირიქით მათ სრული უფლებები მიეცათ საქართველოს მოქალაქისა, და ბოლშევიკებისაგან დევნილი რუსებიც საქართველოს აფარებდნენ თავს, სადაც იგინი მშვიდ მიღებას და დახმარებას მოელოდნენ. და არც ერთ რუსს, ჩვენ ქვეყანაში მცხოვრებს, ან შემთხვევითს ეს მოლოდინი არ გაცრუებია. ასეთივე იყო ქართველთა დამოკიდებულება რესპუბლიკის ყველა არა-ქართველ მცხოვრებთა მიმართ. ამ მხრივ ნოე ჟორდანიამ განასახიერა საამაყო ტრადიცია ქართველი ერისა, რომელსაც არ უყვარს სისხლი, განსაკუთრებით სისხლი უდანაშაულოთა და უსუსურთა, რომელსაც მუდამ ჰქონდა სხვა ერთა პატივისცემა და შორს იყო მისგან სიძულვილი მათი და შურის ძიება ან სამაგიეროს გადახდის გრძნობა თვით დამნაშავეთა მიმართ.

ნოე ჟორდანიას ღრმად უყვარდა თავისი ერი და მისი კულტურა. მახსოვს, შარშან ლევილში რომ ვიყავი, პატარა გუნდმა შესანიშნავი ქართული სიმღერები მოგვასმენინა. მე ნოეს გვერდში ვიჯექი და ვუსმენდი. მოხუცი აღელდა, ხელის მოძ-

რაიმას აყოლებდა სიმღერებს და ეტყობოდა თვითონაც გულში მღეროდა. როდესაც გუნდმა სიმღერები გაათავა, ჟორდანიას ცრემლები წამოუვიდა, თქვა: „რამდენი ხანია რაც გურიაში აღარ ვყოფილვარ და ეს სიმღერები აღარ მომისმენია"-ო. სწორედ იმავე მძიმედ ჩაფიქრებული და ჩუმი ნაბიჯით გავიდა განწყენებული სიმონ წერეთლის ქოხიდან, სადაც გული იმღეროდა, და გაემართა თავის ბინისაკენ.

სამ წელიწადს გაძლო მხოლოდ დამოუკიდებელმა საქართველომ, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად იყო ცნობილი მრავალ სახელმწიფოთაგან; და მიუხედავად იმისა, რომ იგი საბჭოთა რუსეთმაც იცნო, მაინც დაიპყრა იგი ვერაგულად თავდასხმით 1921 წელს. ნოე ჟორდანიას მთავრობა უცხოეთში გადმოიხვეწა და აქედან განაგრძობდა ბრძოლას მტრის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლას შეალია ნოე ჟორდანიამ მთელი მისი ენერგია, და აქაც ღრმა პატრიოტიზმით მოიპოვა მან ყველას წინაშე, ვისაც სწამს ერთა თავისუფლება და ყოველგვარი მონობის წინააღმდეგ იბრძვის. ღრმად მოხუცებულსაც არ შეუწყვეტია მას ეს ბრძოლა. დღეს იგი აღარ არის, დაუღალავი მებრძოლი თავისი ერის თავისუფლებისათვის და თავის იდეალისათვის, მისგან ქმნილი დიდი საქმეებით შესრულდა რაც ის ჯერ, რომელიც წინ დაადგა მისმა ერმა და მისმა სწრაფნამ.

ნოე ჟორდანიას აჩრდილთა სამეფოში შესვლით დასრულდა ერთი დიდი ეპოქა საქართველოს ცხოვრებისა. — „ამინ ასეთანე!" მაგრამ სახელი მისი საუკუნოდ დარჩება ქართველი ერის მეხსიერებაში.

მიხეილ წერეთელი

## დიდი საფლავის წინაშე

მომიტევე, დიდო ნოე, თუ მე, არც პოლიტიკური მოღვაწე, არც მწერალი და არც ჟურნალისტი, შენი საფლავის წინაშე ვერ შევძლებ შესაფერად გამოვთქვა ჩემი გულის აღნიშვნა, რომ უკანასკნელად გითხრა სამუდამო მშვიდობით. შენი ამ სოფლიდან გამგზავრების ორი დღის წინ, ჩვენ ხანგრძლივ საუბარში, არამც თუ ვერ ვიგრძენი, რომ უკანასკნელად გხედავდი, პირიქით, ისე კარგად ვგრძნობდი თავს, რომ სულ გამეფანტა ის უცნაური წინაგრძნობა, რომელმაც ავადმყოფი ამაჩქარა და შენ სანახავად მომიყვანა.

ორი დღის შემდეგ გნახე დიდი მოხუცი მიწოლილი ულუმბინტებისაკენ შებრუნებული. მის თეთრ ლოგინში, ახალი ტანით, მეწყერი სილაღით, თითქოს ამ და იმ ქვეყანასაც შეჰფერებულს, მოსწრაფი ილუმინაციაში ჩაძინებულს. თავმოყვარე ქართველები უთუოდ ამაყობდნენ თავის რასის ასეთი მშვენიერი წარმომადგენლით...

ვერ მგონი იღამაზებს ბუნებას უყვარს მთავარის სხივები ყოველთვის დაიცვა, რომ იმით დასწრებას და თავის დიდ დაბრუნებას მოუხლოვდეს. მაგრამ ნოე ჟორდანიას ძალიან ხანმოკლე მშვიდი არის.

ჩემი ნაცნობობა განსაკუთრებულად ეკუთვნის მის ღრმა მოხუცებულობის ხანას, უკანასკნელ შვიდ წელს. რაც მეტს უახლოვდებოდი და ეცნობოდი მის პოლიტიკურ, სოციალურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს, მით უფრო განცვიფრებული ვრჩებოდი; განცვიფრებული იმით, რომ მისი მსჯელობა და მოსაზრებანი სულერთი სამყაროზედ, სარწმუნოებაზედ (რომელიც ხშირად დამიახლოვა), სულ სხვა იყო, ვინემ ეს გაგონილი მქონდა. პარიზელ ქართველთა ახსოვთ ალბათ მისი შესანიშნავი მოხსენება, საქართველოს გაქრისტიანების 1500 წლის თავზე წაკითხული. ამ მოხსენების შესახებ ფრანგული ჟურნალი გვწერდა: „წუხელისწინ ნოე ჟორდანიას სიტყვა „ნინოობას" წარმოთქმული პარიზის ქართველთა საკრებულოში, გვევლინება: რა ღრმად ჩაძირულა ქართველი ერის ფესვებში! ბასილეკ — აღმოჩნდება მატერიალისტადაც და ძალიანაც ევროპული მოაზროვნე — ცოცხალი რომ იყოს, ნოე ჟორდანიას „სიტყვას" შეიტანდა უთუოდ თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში"-ო.

ერთხელ მასთან საუბრის დროს სიკვდილის პრობლემას შევეხეთ. მე მოვიყვანე გოეტეს საუბარი ეკერმანთან სულის უკვდავების შესახებ. უთხრე, თუ როგორ ასეთი დიდი მწერალი ჩამოჰყავს მზის მაგალითით სულის უკვდავება. წარმოიდგინეთ: მზე ჩადის, გოეტემ შეხედა ბნელისკენ მიმავალ მზეთანს და ეკერმანს შეეკითხა: „ბნელს ჩამავალი ხომ იგივე დარჩება მზე? რაიცა ადამიანი 50 წლის გადასცდება, განაგრძო მან, ხანდა ხან სიკვდილზე დაფიქრებულა. მე ეს ფიქრი არც ისე მაშინებს, რადგან ურყევად დარწმუნებული ვარ, რომ სული ჩვენი შეუმუსრველი ბუნებისაა, იგი მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რადგამობიდან მარადგამობამდის აგრძელებს ზედგაუღებს თავისას, და სული ემსგავსება მზეს, რომლის ბნელში ჩასვენება ჩვენს თვალს ეჩვენება ხოლმე, არსებით კი ეს მნათობი არა-ცის ჩაესვლება ბნელში, იგი დაუცხრომლად განაგრძობს სხივების ფრქვევას". გოეტეს ეს ბრძნული აზრი ძალიან მოეწონა ნოეს და იმდენად, რომ შემდეგ შეხვედრების დროს რამდენჯერმე გაიხსენა.

— ახალგაზრდობაში წაკითხული მაქვს ეს, მაგრამ მაშინ არ მეცალა ამ პრობლემებზე ფიქრისა; სულის უკვდავება მჯერა, სთქვა მან.

ნოე ჟორდანიას ბედმა და ისტორიამ არგუნა დიდი ბედნიერება, რომ შეეღო დამოუკიდებელი საქართველოს კარები და აღეფრიალებინა თავისუფლების დროშა. მაგრამ იმავე ბედმა ამ დროშით ხელში, მას უცხო ქვეყანაში ხანგრძლივი ტანჯვა და სიკვდილი მიანიჭა. არა ერთხელ მქონია შემთხვევა მომესმინა, და ვიცი, რომ მას ღრმა რწმენა და უყოყმანო შეხედულება ჰქონდა საქართველოს სუვერენობის ხელშეუხებლობაზე და ისტორიას გადასცა შეუბღალავად ქართველი ერის თავისუფლების დროშა.

რაც მე ვიცნობ მას, იგი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ბედნიერებით იყო აღტაცებული და მისი ტკივილით ჰქონდა გული შეპყრობილი. ხშირად მინახავს მწარე ფიქრებით შეღონებული, თითქო დანტეს ჯოჯოხეთის უფსკრულის სიღრმეში საქართველოს ვაება იხილაო. ამბობდა: „ჩემი ერი ისტორიაში გაუგონარ ტყვეობას განიცდის და მეც მასთან ვარ განუყრელად ამ ტანჯვაში"-ო.

მაგრამ, მტკიცე და წყნარი ნოე, ისეთი ტკბილი ღიმილით და სიმშვიდით შემხვდებოდა, რომ გვეგონებოდა, ღვთიური ჰარმონია მის გულში და მის ბიბლიურ სახეზე თანაბრად იყო განსახიერებული და გაბრწყინებული...

დასაფლავება მისი დაბადების დღეს, 15 იანვარს მოხდა.

პარიზის ზამთრის მოღრუბლული ცა თითქო თანაგვეგრძნობდა ჩვენ, უფლებას აძლევდა ბედის გარემოს და გულსაკლავ პროცესიას კიდევ უფრო ნაღვლიანს ხდიდა...

ნელა და ნაზად ეშვება სამარეში კუბო, ისე მშვიდად, თითქო წინააღმდეგობას იჩენს და არ სურს უცხო მიწაში ჩასვენება.

მიაფარეს დახრილი თავი საქართველოს სახელმწიფო დროშებმა.

საფლავს თავზედ ვდგევარ. შეტორტმანდა სული. წარმოვიდგინე, თუ როგორ იქნებოდა ნოე ჟორდანია სამშობლოში დასაფლავებული. აქ არ გვექნებოდა ძველი სიონის ზარების გუგუნი და არც მამა - დავითი აძლევდა მას ხმას.

პარიზთან ახლო მდებარე, ერთი პატარა სოფლის მიწამ მიიბარა საქართველოს წარჩინებული შვილის ცხედარი, ნაცვლად ჩვენი დედაქალაქისა.

დამწყდა გული და ავტირდი.

ნ.

## ნოე ჟორდანიას ხსოვნის აღნიშვნა ამერიკაში

ნოე ჟორდანიას გარდაცვალება მძიმეთ დაატყდა თავს აქ, ჩვენ ემიგრაციას. ყოველი პატრიოტი ქართველის გული შეძრა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის სიკვდილმა, რომელიც ცოცხალი სიმბოლო იყო საქართველოს სუვერენობისა და ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების დაცვისათვის ბრძოლისა!

ნოე ჟორდანიას გარდაცვალებას წამსვე გამოეხმაურა არამარტო ქართველობა, არამედ შეერთებული შტატების პრესა და რადიო.

„ამერიკის ხმა"-მ, როგორც ქართულ, ისე სხვა ენებზე, გადასცა უწყება საქართველოს პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ. ქართულ ენაზე კი რამოდენიმეჯერ მოეწყო ვრცელი საუბრები ნოე ჟორდანიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამგვარად, რადიოს საშუალებით, ეს ამბავი დაუყონებლივ ეცნო ქართველ ერს იქ... სამშობლოში!

ქართველმა საზოგადოებამ ეს ეროვნული გლოვის დღე ღირსეულად აღნიშნა: 17 იანვარს, ბერძენთა კათედრალურ ტაძარში გადახდილი იყო სამგლოვიარო პანაშვიდი. 25 იანვარს, ჰოტელ „კომოდორ"-ში, შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელიც მოკლე სიტყვით გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ, ბ. ლევან დუმბაძემ. ქართულ ენაზე სიტყვა წარმოთქვა უხუცესმა ქართველმა,—ბ. გრიგოლ დიასამიძემ. ინგლისურ ენაზე სიტყვით გამოვიდა ბ. მერაბ კვიტაშვილი. ამის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მოძმე ერების წარმომადგენლები: სომხეთა, აზერბეიჯანელთა, მთიელთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ებრაელთა, პოლონელთა და სხვათა.



## ბრძოლის ზარი

**უკვდავი ქართველის, ნოე ჟორდანიას ხსოვნას**

კვლავ შემოკრა ერთხელ კიდევ
შენმა ერის გლოვის ზარმა,
ქართველის გულს გადაკრა
მწუხარების შავი ნარმა.

დროშა ქველი დიდებისა
შენს საფლავზე დაიხარა,
ცას ფირუზის და ხმელეთის ზურმუხტს
თვალი ისევ გადეფარა.

ღრმად ფიქრობდი ძველ კოლხეთის
უკვდავ ოქროს ვერძზე,
ბაზალეთის ტბის ლურჯ ფსკერზე
აკვანში ჩუმლ ბავშვის [illegible].

ოცნებობდი: ქართლ-კახეთზე,
იმერეთზე, გურიაზე,
იმედებით ფრთებს აფენდი
მშობელ მიწას ბურიანზე.

გსურდა ერი ჯვარზე ცმული
აღთქმულ ქვეყნად მიგეყვანა,
მამათ შორის სამუდამოთ
ერთი ხიდი გაგეყვანა.

შენ გინდოდა ტახტს [illegible]
ერთობა და სიყვარული.
გაგეკურნა დედის გული
დაჭრილ-დანაგ-წამებული.

დიდი ბრძოლა გადიხადე:
თოფით, კალმით, სიტყვით, საქმით,
სალი რწმენა მიიტანე
სამსხვერპლოზე მტკიცე აღთქმით..

და ჩასთესე ერის გულში
რაც კარგი და ძვირფასია;
სიხარული, სიყვარული,
სიცოცხლე და პოეზია.

შენს კაშ-კაშა ჩირაღდანით
აბრწყინებდი ქართულ სულსა,
და ეძებდი ეკლის გზებზე
ქართლის ბედსა დაკარგულსა...

დღეს გადიწვი ვით კანდელი
ქართულ სულის სამსხვერპლოზე,
თვით მტერიც კი მოგიგონებს
ყოველ წუთში, ყოველ დროზე.

კვლავ დარჩები ერის გულში
სატრფიალო, საგოგმანო,
ჩვენს წამებულთ პანთეონში
სამლოცველო სათაყვანო.

უკვდავების სახელი გაქვს
ერის ბედში ჩაწერილი,
უფასოა შენი ღვაწლი
სიცოცხლეში გადახდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთჯერ კიდევ გაეხსნება
შენს ქვეყანას კვალად ბედი,
შენს საფლავზე დაიხრება
ქართლის დროშა, მოძმის ქედი

უზომოა შენზე ფიქრი:
სტირის გრძნობა, კვნესის გული
გავა დრო და არ გაქრება
ჩვენში შენი სიყვარული.

დაიცრემლა ერის თვალი
გული კვალად გაებზარა,
სტირის დედა, სჩივის მამა,
ნუ თუ პირი აღარ კმარა?

ზღაპრად რჩება შენი საქმე
შვილი შვილებს გადასცემენ,
საუკუნო ხსოვნის ძეგლებს
შენს მიწაზე აგიგებენ!

და იცოცხლებ, როგორც შოთა,
ილია, აკაკი და ვაჟა,
შენ ხსოვნა და უკვდავება.
საქართველოს ვაშა! ვაშა!

1953

ნ. ნაკაშიძე

A MON PÉRE NOE JORDANIA.

Viendra un jour où les poètes
De la Géorgie ressuscitée
Pourront enfin le coeur en fête
Ecrire et dire la vérité !
Alors les odes et les poèmes
Vont raconter tes xploits ,
Les joutes du chevalier moderne
Tes luttes , tes peines et ta joie ,
Tes armes étaient parole et plume
Ton but : la liberté acquise
Pour ta patrie ,un siècle soumise
A ce vorace géant cruel !
Et l'aube était venue pour Elle .
Viendra un jour où tous nos peintres
Vont te montrer à la Géorgie ,
Ton front si haut , ton corps si svelte ,
Tes yeux si beaux ,qui pleurent sa perte ,
Pour elle tu as donné ta vie !

A. Jordania.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი   დ ი ნ ე ბ ა შ ი ა"

## მიხეილ გორბაჩოვი-რუსი დენ სიაოპინი?..

### I.

დენ სიაოპინი, როგორც ცნობილია, -მაო ძედუნის ნაწილობრივი განგვირგვინებისა და ე.წ-ლი "ოთხთა ბანდის" დაგმობის შემდეგ, -შეუდგა ჩინეთის სახალხო მეურნეობის გარდაქმნას, რასაც მოყვა არა მარტო სოფლის მეურნეობაში კომუნების თითქმის მთლიანი დაშლა და კერძო საკუთრების დაშვება, არამედ ე.წ-ლი "ერთობლივი საწარმოების" = joint venture დაშვებაც, რითაც ჩინეთში უცხო კაპიტალსაც გაეხსნა გზა. მაგრამ კომპარტიული დიქტატორული სისტემა ხელუხლებელი დარჩა. მიუხედავად ამგვარი ნაწილობრივი რეფორმებისა, ჩინეთის სახალხო მეურნეობა მაინც სწრაფი ტემპებით მიიწევს წინ, სულ ცოტა, "მეორე ინდუსტრიული რევოლუციის" გზით. ვითომ დენ სიაოპინმაც "აიძულა" გორბაჩოვი დადგომოდა რეფორმების გზას?..

### II.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, მოსკოვში, 1986 წლის ნოემბერში, შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავჯდომარემ - ი.ი.გლადკიმ ილაპარაკა "ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის თაობაზე", და, შემდეგ, იმავე წლის 19 ნოემბერს გამოქვეყნდა "კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ", რომლითაც, როგორც ჩანს, პარტიული ხელმძღვანელობა - მთელი სახალხო მეურნეობის თუ არა - მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ლამობს.

### III.

საბჭოთა რუსეთში და - შემდეგ - საბჭოთა კავშირში სახალხო მეურნეობის ანალოგიური "რეფორმები" არაერთხელ დაიწყო და ისევ შეწყდა:
ბოლშევიკებმა, ლენინის მეთაურობით, მოახდინეს რა 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება, - მაშინათვე დაიწყეს მთელი სახალხო მეურნეობის გასახელმწიფოება, რასაც მოყვა პროდუქციის ისეთი სწრაფი ტემპით დაცემა, რომ 1918-1921 წლებში, ე.ი. რუსეთში სამოქალაქო ომის მსვლელობის დროს, შემოღებულ იქნა ე.წ-ლი "ომის-კომუნიზმი", რომლის შედეგად უკიდურესობამდე მიყვანილ იქნა მთელი სახალხო მეურნეობის გასახელმწიფოება:

1. მთელი ინდუსტრია და ბანკები სახელმწიფომ გადაიბარა,
2. კერძო ვაჭრობა სრულიად აღკვეთილ იქნა,
3. გლეხებზე გაწერილ იქნა სურსათის ნატურალური ჩაბარება, და სხვა.

ამგვარად, სახელმწიფო გახდა მწარმოებელი, განმანაწილებელი და მუშახელის ბატონპატრონი. ყველა ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისათვის შეიქმნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მომარაგების სახალხო კომისარიატი. მაგრამ ამგვარმა რადიკალურმა ეკონომიკურმა ცენტრალიზმმა კრახი განიცადა და აღნიშნული ზოგიერთი ღონისძიება გაუქმებულ იქნა, და ასე დაიწყო "ნეპ-ი".

"ნეპ-ი", ე.ი. "ახალი ეკონომიკური პოლიტიკა" დაიწყო 1921 წლიდან და გაგრძელდა 1927 წლამდე, რომლის დროს -

1. გლეხებისაგან ნატურალური ჩაბარება იმდენად მცირდებოდა, რამდენადაც გლეხი მეტ მოსავალს მიიღებდა.
2. გლეხებს ეს "ზედმეტი ნაწარმი" შეეძლოთ გაეყიდათ თავისუფლად ქალაქში ბაზარზე.

3.დაშვებულ იქნა თავისუფალი კერძო ვაჭრობა,
4.გაცემულ იქნა კონცესიები კერძო პირებზე, უმთავრესად უცხოელებზე ფაბრიკა-ქარხნების შექმნის მიზნით, და სხვა.

და მართლაც, "ნეპ-ის" ხანაში საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ცხოვრება გამოცოცხლდა. მაგრამ პარტიულ ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს, ლენინური "თეორიის" "სიწმინდის" დაცვა უფრო აინტერესებდა, ვიდრე ეკონომიკური სარგებლიანობა, რასაც მოყვა სტალინური ე.წ-ლი "ინდუსტრიალიზაცია" და "კოლექტივიზაცია".

IV.

ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, როგორც ცნობილია, 1917 წლიდან - ჯერ - შემოღებულ იქნა კოლექტივიზაცია, ასე თუ ისე, ნებაყოფლობით ბაზაზე, მაგრამ 1928 წლიდან დაიწყო კოლექტიური მეურნეობების შექმნა სასტიკი ტერორის გზით. ამგვარად, საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობა მოექცა სახელმწიფოს და ამით უაღრესად ცენტრალისტური მმართველობის ქვეშ, რომლის შედეგად წარმოიშვა ბიუროკრატთა მთელი არმია, რომელიც დღესაც კისერზე აწევს და ამუხრუჭებს საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ეკონომიკის განვითარებას.

V.

თუ რამდენად არაპროდუქტიული და შრომისა და ნედლი მასალის გამფლანგველია საბჭოთა ბიუროკრატიული, გასახელმწიფოებული სახალხო მეურნეობა, ამის მაგალითებს თვით საბჭოთა სტატისტიკა გვაწვდის:

სტატისტიკური ცნობარით, მაგალითად, ე.წ-ლ "საკარმიდამო ნაკვეთები" საბჭოთა კავშირში 1967 წლის მონაცემებით შეადგენდა მთელი სახნავ-სათესი მიწების მხოლოდ ნოლ-მთელსა და ხუთ-მეათედ(0,5) პროცენტს. ეს მცირე "საკარმიდამო ნაკვეთები" იძლეოდა, ვთქვათ, კვერცხისა და კარტოფილის საერთო პროდუქციის 63-მ პროცენტს, ხილეულობის - 41 პროცენტს, რძისა და ხორცის - 38 პროცენტს თუ მატყლის 20 პროცენტს. და ანალოგიური მდგომარეობა არის დღესაც.

VI.

მაგალითად, ახალი კანონი "ინდივიდუალურ.. შრომის საქმიანობის შესახებ", უთუოდ, განსაზღვრულ დადებით შედეგებს გამოიღებს მოსახლეობის, სულ ცოტა, მომარაგებისა და მომსახურების სფეროში, და ეს, საბჭოთა კავშირის ბიუროკრატიულ სახალხო მეურნეობის პირობებში, უთუოდ, მისასალმებელია, მიუხედავად ამ კანონის შეზღუდული ხასიათისა:

1."ზოგადი დებულებანი" ამ კანონისა განსაზღვრავს, სხვათა შორის, იმას, რომ "ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა" დაფუძნებულია "მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე". "არ დაიშვება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა დაქირავებული შრომის მოზიდვით". ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის უფლება ენიჭებათ სრულწლოვან მოქალაქეებს, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოებრივ წარმოებაში, ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, დიასახლისებს, ინვალიდებს, პენსიონერებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს." სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები "ხელს უწყობენ" ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეებს მასალა-ნედლეულის თუ იარაღების შეძენაში, პროდუქციის გასაღებაში, რომლის დროს

აღმასკომებს შეუძლიათ მისცეთ მათ იჯარით"არასაცხოვრებელი სათავსები", მათ მიეცემათ,"დადგენილი წესით", კრედიტები და "წესით იხდიან ამ საქმიანობით მიღებული შემოსავლის გადასახადს".

2.ამ კანონის მეორე ნაწილი განსაზღვრავს "ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის" სფეროს: ტანსაცმელი,ფეხსაცმელი,ქსოვილები,ავეჯი,საოჯახო ნივთები, ბაღ-ბოსტანის ინვენტარის საგნები და"სხვა სახეობანი", თუ ისინი აკრძალული არ არის საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკური კანონებით; და ასეთ ნაწარმის რიცხვს ეკუთვნის "ძვირფასი ლითონები","სამრავლებელი და პირგადასაღები აპარატები","ყოველგვარი იარაღი თუ ზოგიერთი ბეწვეული.

3.მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, კანონით,დაშვებულია საცხოვრებელი ბინების და სხვა ნაგებობათა აშენება, მომსახურების გაწევა, პირადი ავტომობილების შეკეთება თუ ტურისტების პანსიონური მომსახურება. ძვირფასი ლითონების, პატიოსანი თვლების, ქართვის ნაკეთობათა შეკეთება-გადაკეთება თუ ყოველგვარი იარაღის შეკეთება კი აკრძალულია.

4.სოციალურ-კულტურულ სფეროში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა დაშვებულია ჭრა-კერვისა და ქსოვის სწავლება, მუსიკალური ინსტრუმენტების დაკვრის თუ მანქანაზე ბეჭდვის სწავლება და სხვა.

## VII.

ამგვარად, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა დაშვებულია მინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოციალურ-კულტურულ და სხვა სფეროებში, რაც, როგორც აღვნიშნეთ, უთუოდ ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.მაგრამ ეს კანონიც დროებით მოვლენად"ხომ არ არის მიჩნეული,რომლის გაუქმებაც ისეთივე ერთი ხელის დარტყმით შეიძლება მოხდეს ხელმძღვანელობის მიერ, როგორ მისი ასე მოულოდნელი შემოღება? ამგვარი ეჭვის გამოთქმის საბაბს იძლევა ამ კანონის ის დებულება, რომ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვის გაცემის ვადა "არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელიწადს", რაც კერძო მესაკუთრეს განუწყვეტელი შიშის ქვეშ ამყოფებს, ვინაიდან,ყოველგვარი ბიუროკრატიული მიზეზებით,მას შეუძლია ეს "ნებართვა" ჩამოერთვას. და ამ ფაქტშიაც მჟღავნდება მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობის "ნახევარ-გულიანი" ე.წ-ლი "რეფორმების" უსუსურობა.

## VIII.

პარტიული ხელმძღვანელობა, როგორც სჩანს, ვერ ურიგდება იმ ფაქტს, რომ სრულიად გასახელმწიფოებული ეკონომიკა ისევე განწირულია, როგორც სრულიად კერძო პირთა ხელში მოქცეული ეკონომიკა. მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებშიც კი, რომლებიც, საბჭოთა ხელმძღვანელების მიერ "კაპიტალისტურ ქვეყნებადაა" წოდებული, დღეს უკვე აღარ არსებობს ს რ უ ლ ი ა დ  კერძო პირების ხელში არსებული ეკონომიკა. ანალოგიურია თვით საბაზრო სისტემებიც. დასავლეთში, ე.ი.მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს "ველური", "მეცხრამეტე საუკუნის" "თავისუფალი ბაზრის სისტემა". "თავისუფალი ბაზარიც", ე.ი.თავისუფალი კონკურენცია თუ მიწოდება-მოთხოვნილების მექანიზმიც ისევე სახელმწიფოს და საზოგადოების კონტროლის ქვეშაა,

როგორც თვით კერძო მესაკუთრეთა საქმიანობა, რომ თავიდან იქნას აცილებული "ველური","მფარველური" ეკონომიკური პოლიტიკა რომელი ქვეყნიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი. ამგვარად, სახელმწიფო-საზოგადოებრივი კონტროლი ეკონომიკაზე ე.წ-ლ"კაპიტალისტურ ქვეყნებშიც" არსებობს; მაგრამ ამგვარი კონტროლი ისეთი სიფრთხილით და გონიერებით წარმოებს, რომ თვით "თავისუფალი ბაზრის მექანიზმი" კი არ ზიანდება, არამედ უფრო სრულყოფილდება, ე.ი.უფრო სარგებლიანი ხდება. აქედან გამომდინარეობს, თუ გნებავთ, ისიც, რომ გერმანიის ფედერალიულ რესპუბლიკაში,მაგალითად, ყველა პარტია(მეტ-ნაკლებად) დაპირაკობს არა "თავისუფალ ბაზრის", არამედ "ს ო ც ი ა ლ უ რ ი თავისუფალი ბაზრის" სისტემაზე, რაც იმას გვეუბნება, რომ "ველური" "თავისუფალი ბაზრის" დრო უკვე გავიდა, და დადგა "ს ო ც ი ა ლ უ რ ი თავისუფალი ბაზრის"ხანა, რომლის დროს "თავისუფალი ბაზრის მექანიზმი" ეთავსდება ქვეყნის,მოსახლეობის სოციალურ რაობას, და ამ გზით ეკონომიკა ჩაყენებულია ხალხის სამსახურში.

"გეგმიანი მეურნეობა","გეგმიანი ბაზარი" კი, როგორც ამას საბჭოთა კავშირისა და სხვა კომუნისტური ქვეყნების მაგალითები ნათელყოფენ, სახელმწიფოს, სახელმწიფო ბიუროკრატიის საექსპერიმენტო არენადაა აღიარებული, რომლის დროს, პ რ ი ნ ც ი პ ი ეკონომიკური ს ა რ გ ე ბ ლ ი ა ნ ო ბ ი ს ა, ე.ი."თავისუფალი ბაზრისა" - რაც შეიძლება მეტი ნაწარმი მიიღო , რაც შეიძლება მცირე საშუალებებით, სხვა სიტყვებით, მეტი პროდუქცია მიიღო; რაც შეიძლება ნაკლები ხარჯებით - უგულებელყოფილია ლენინური ეკონომიკური"თეორიის" "სიწმინდის" დაცვის, თითქოსდა, "აუცილებლობით", სინამდვილეში კი საბჭოთა იმპერიის, უფრო სწორად, რუსეთის იმპერიის დაშლის თავიდან აცილების მიზნით, ვინაიდან ს ო ც ი ა ლ უ რ ი "თავისუფალი ბაზრის" განხორციელება მხოლოდ დემოკრატიის პირობებშია შესაძლებელი, ხოლო დემოკრატიული წესყობილების წინაპირობაა ყოველი ჯურის დიქტატორული სისტემის აღკვეთა, რაც ყოველი ერისა და ქვეყნის თვითგამორკვევას, თავის-უფლებას, დამოუკიდებლობასა და სუვერენობას ნიშნავს.

IX.

მართალია,"თავისუფალ ბაზარს", უნდა აღვნიშნოთ, გააჩნია მანკიერება, მაგრამ ეს ეკონომიკური სისტემა, მ ა ი ნ ც უფრო "გარდაქმნის-უნარიანი", ე.ი. უფრო უკეთესი, უფრო სარგებლიანი გამოდგა,ვიდრე ბოლშევიკური სრულიად გასახელმწიფოებული ეკონომიკა, რომელიც, აგერ უკვე ორი-მესამედი საუკუნეა, ხელს ლეწავს განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში, ამ უზარმაზარ ახალი ტიპის იმპერიაში. ამიტომაა, რომ "სრულიად გასახელმწიფოებულ" ეკონომიკას არ შეუძლია ერის,ქვეყნის,ადამიანების ცხოვრების დონის ისეთი უზრუნველყოფა, როგორსაც ჩვენ ვხედავთ მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში; და რამდენადაც დრო გადის, საბჭოთა ეკონომიკის ჩამორჩენა,"თავისუფალი ბაზრის" ქვეყნებისაგან, კი არ მცირდება, არამედ იზრდება.

X.

უნგრეთის მაგალითი: დაახლოებით საქართველოსავით პატარა სახელმწიფო - უნგრეთი(ტერიტორია - 93.032 კვ.კმ;მოსახლეობა - 10.710.000 სული-1981)"ახ-

მუშა" 1956 წლის აჯანყებამ,რომელიც საბჭოთა ტანკებით იქნა ჩაქრობილი, - განსაზღვრული რეფორმები გაატარებია ქვეყნის სახალხო მეურნეობაში. სხვათა შორის, უნგრეთი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო გახდა 1918 წელს საქართველოსავით, როცა ისტორიას ჩაბარდა ჰაბსბურგის დინასტია. კოლმეურნეობის სისტემა "რეფორმირებულ" იქნა,რის ბაზაზე წარმოიშვა კერძო მესაკუთრეთა და ნახევრადკერძო კოოპერატიული სისტემა. მაგრამ ამგვარმა "ფრთა-მოტეხილმა" რეფორმებმა, მართალია, მოსახლეობის ცხოვრების დონე აამაღლა,მაგრამ ეკონომიკური კერძო სექტორი მაინც უმნიშვნელო ნაწილი დარჩა სახალხო მეურნეობის სახელმწიფო სისტემისა. ამდენად, უნგრეთის სახალხო მეურნეობის შემდგომი·წარმატება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად შესაძლებელი გახდება კერძო და ნახევრად-კერძო მეურნეობის სისტემა გავრცელებულ იქნას გასახელმწიფოებულ საწარმოებზე. ამგვარად, "ნახევარ-გულიანი",""ფრთა-მოტეხილი", "კოსმეტიკური რეფორმები", მართალია, მოსახლეობის ცხოვრების დონეს აუმჯობესებს, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის გადალახვა შეუძლებელი ხდება. უნგრეთში,ყოველ ჯურის საქონლით, სავსეა მაღაზიები, მაგრამ როგორც უცხოელი კორესპონდენტები იტყობინებიან ბუდაპეშტიდან, - მაღაზიებში მყიდველები თითქმის ყველა უცხოელი ტურისტია, რომლებიც - დოლარის, მარკის თუ ავსტრიული შილინგის გადახურდავების მაღალი კურსით -სარგებლობენ და ყველაფერს იაფად ყიდულობენ. თვით უნგრელებს კი, საშუალო თვიური ხელფასით - 150-დან 200-ს მანეთამდე ბევრის არაფრის ყიდვა არ შეუძლიათ, მით უმეტეს, რომ უნგრეთის ფულის - ფორინტის - კურსი,გასულ წელს, რვა-ცხრა პროცენტით დაეცა.

XI.

უნგრეთის სახალხო მეურნეობის ბრუტო-ეროვნული პროდუქცია,მაგალითად, 1980 წელს უდრიდა ოთხ-მილიარდ-ას-ოთხმოც-მილიონ(4.180.000.000) დოლარს, მაგრამ 1986 წელს გეგმით გათვალისწინებული 2,7 პროცენტის ნაცვლად, ბრუტო-სოციალური-პროდუქცია გაიზარდა მხოლოდ ერთი პროცენტით, რასაც მოყვა კიდევ იმპორტის ორი პროცენტით გაზრდა, ხოლო ექსპორტის ორი პროცენტით შემცირება, რის შედეგად უნგრეთის დავალიანებამ უცხოეთის ქვეყნებთან თერთმეტ მილიარდ დოლარამდე მიაღწია, კაპიტალის პროცენტების ჩათვლით. რა თქმა უნდა, უნგრეთის ეკონომიკის ამგვარი სიძნელეები უნდა ვეძიოთ,როგორც საგარეო,ისე საშინაო პირობებში: საერთაშორისო ბაზარზე ფასები,მაგალითად, დიდ გავლენას ახდენს უნგრეთის საგარეო ვაჭრობაზედაც: 1986 წლის პირველ ცხრა თვეში, მაგალითად, უნგრეთმა საერთაშორისო ბაზარზე გაიტანა 15-ი პროცენტით მეტი პეტრო-ქიმიური ნაწარმი,1985 წელთან შედარებით, მაგრამ მიიღო 25-ი პროცენტით ნაკლები შემოსავალი-ვალიუტა-თანხა.

XII.

მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც უნგრეთის სახალხო მეურნეობის გასახელმწიფოებულ სისტემაში უნდა ვეძიოთ, რომლის გამოჯანსაღება "კოსმეტიკური რეფორმებით", როგორც ჩანს, შეუძლებელი ხდება. სტალინური "გეგმიანი მეურნეობის" "ინტერნაციონალური" სისტემის შესაბამისად, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ,როცა კომუნისტებმა ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, მთელი უნგრეთის ე.წ-ლი

"ინდუსტრიალიზაცია",რაც თავისთავად სასარგებლოა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. მაგრამ ესაჭიროება მ ძ ი მ ე ინდუსტრია ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც მისი ნედლი მასალა საერთოდ არ მოეპოვება?.. უნგრეთში,მაგალითად, დიდი ჭაპანწყვეტით აშენებულ იქნა ფოლადის ინდუსტრია,რომლისთვის უნგრეთს ნედლი მასალის ბაზა არ გააჩნია,რის შედეგად - ხარისხზე საერთოდ რომ არ ვილაპარაკოთ - ფოლადის ფასი,ღირებულება,თვითღირებულება ო რ ჯ ე რ უფრო დიდია,ვიდრე,ვთქვათ, დასავლეთ ევროპის ინდუსტრიულ ქვეყნებში. და ანალოგიურ "ინდუსტრიალიზაციასთან" არ გვაქვს ჩვენ საქმე საქართველოშიც,ვთქვათ, რუსთავში თუ ქუთაისში, სადაც ფოლადის თუ ავტომობილების წარმოების ბაზა არ მოიპოვება?..

XIII.

რა თქმა უნდა, უნგრეთის პარტიული ხელმძღვანელობა ხედავს "კოსმეტიკური რეფორმების" ნაკლოვანებებს და ამიტომ კომპარტიის ცეკას,1986 წლის ნოემბრის ბოლოს, მიიღო გადაწყვეტილება თუ როგორ უნდა განსხორციელდეს კერძო და ნახევრად-კერძო მეურნეობების წარმატებათა გადატანა სახელმწიფო საწარმოებზე. სახალხო მეურნეობის რეფორმის ერთი კანონი განსაზღვრავს,მაგალითად, რომ სახელმწიფოს შეუძლია არარენტაბელური,ე.ი.წამგებიანი საწარმოს დახურვა. და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ უნგრეთში 250-ზე სახელმწიფო საწარმოს,რომელთა შორისაა დიდი საწარმო-კომბინატებიც, - ნეგატიური ბალანსი აქვთ,ე.ი. წაგებით მუშაობენ, საჭირო გახდება, სულ ცოტა, ასი-ათასი მუშის სამუშაოდან დათხოვა მიმდინარე 1987 წლის განმავლობაში. მაგრამ "უმუშევარს" რომ ბოლშევიკური ეკონომიკური სისტემა "არ ცნობს?.." და როგორ უნდა მოგვარდეს უმუშევართა სოციალური უზრუნველყოფის საკითხი?.. კანონით, სახელმწიფო საწარმოდან დათხოვილი ყოველი უმუშევარი მიიღებს ერთი წლის განმავლობაში "საფეხურებად-დაყოფილ" "უმუშევართა დახმარებას" და ამავე დროს გაუწევს დახმარებას ახალი სამუშაოს მონახვის საქმეში.

XIV.

"ახალია" აგრეთვე უნგრეთში,1987 წლის პირველ იანვარს ძალაში შესული კანონი,რომლის ძალით ბუდაპეშტში შეიქმნება ხუთი კომერციული ბანკი, რომლებიც იმუშავებენ,სრულიად"კაპიტალისტურად",მოგების ბაზაზე, რითაც უნგრეთის სახელმწიფო ბანკის მონოპოლიას ბოლო მოეღება. ეს ბანკები კი, გასაგებია, კრედიტებს მისცემენ ისეთ საწარმოებს, რომლებიც მოგებას იძლევიან. არარენტაბელური საწარმოები კრედიტებს ვერ მიიღებენ,რაც გზაა კონკურსის, გაკოტრებისაკენ.

XV.

უნგრეთის კომპარტიის ამგვარი რეფორმები, როგორც ჩანს, სარგებლობს მიხეილ გორბაჩოვის მხარდაჭერით. მან,ბუდაპეშტში ვიზიტის დროს,1985 წლის ზაფხულზე, შეაქო უნგრეთის კომპარტიის უფროსი იანოშ კადარი, და,როგორც ჩანს, უნგრეთის"გულაშის კომუნიზმის" თავისებური წაბაძვაა გორბაჩოვის ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც - ჯერჯერობით - ისე შორს არ მიდის, რომ კერძო ბანკებიც კი დაშვებულ იქნას საბჭოთა კავშირში. რაც შეეხება კერძო ინიციატივისათვის ხელშეწყობას, პატარა საწარმოებების თუ სახელოსნოების

კერძო საკუთრებათუ კომპარტიის არაწევრთა საპასუხისმგებლო პოსტებზე დანიშნას- ეს უკვე დიდი ხანია პრაქტიკაშია უნგრეთში. მაგრამ არსებითი რეფორმების გატარება უნგრეთის სახალხო მეურნეობაშიც შეუძლებელი ხდება, ვინაიდან "სოციალური დემოკრატიისა" და მისგან გამომდინარე "სოციალური საბაზრო მეურნეობის" სისტემა პარტხელმძღვანელობისათვის "იდეოლოგიურად" მიუღებელი რჩება. მაგრამ, როგორც უნგრეთის ერთმა პარტიულმა ხელმძღვანელმა განაცხადა, გატარებული რეფორმების-ცვლილებების გარეშე ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა იქნებოდა "გაცილებით უფრო რთული".("ზც",8.2.87). ამგვარად, სტალინიზმი, მოსკოვი აფერხებს (არა მარტო) უნგრეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალურ განვითარებას.

<u>იუგოსლავიის მაგალითი!</u>

## XVI.

კომუნისტური სისტემის "გადემოკრატიულების" პირველი ექსპერიმენტი, როგორც ცნობილია, დაიწყო იუგოსლავიამ, როცა, 1948 წლიდან დაწყებული, იუგოსლავია თანდათანობით ჩამოშორდა "კომუნისტურ ბლოკს", და დღეს, იუგოსლავიის მთავრობის თავჯდომარის ბრანკო მიკულიჩის სიტყვით, "დამოუკიდებელი და ბლოკგარეშე" სახელმწიფოა, რომლის ცხოვრებაში სტალინიზმი შეცვალა ტიტოიზმმა. მაგრამ ვითომ რაიმე  ა რ ს ე ბ ი თ ი  ცვლილება მოხდა იუგოსლავიის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ ორმოცი-წლის"ექსპერიმენტების პერიოდში?.."

## XVII.

მართალია, კოლექტივიზაცია თუ უაღრესი ცენტრალიზმი, რაც სტალინიზმის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნიშნებია, იუგოსლავიაში, სრულიად გამქრალი თუ არა, შესუსტებულია, მაგრამ ქვეყანა ვერც სახალხო მეურნეობისა და ვერც ეროვნული პრობლემების მოგვარებას ვერ გაუმკლავდა, ვინაიდან - ყველა ამ მანკიერების წყარო - სტალინური სისტემა უცვლელი დარჩა. "...ილუზია არ უნდა არსებობდეს არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნების გარეთ, რომ ჩვენ ჩვენს სისტემას დავიცავთ ყველა საშუალებით...მე ვთქვი: ყველა საშუალებით. მასში შედის, რა თქმა უნდა, სამხედრო ძალაც", - თქვა ბრანკო მიკულიჩმა("შპ",13-1987,გვ.150).

## XVIII.

და რა კონკრეტული შედეგები მოყვა სტალინური სისტემის გარეგნულ შეცვლას იუგოსლავიაში*ამ ორმოცი წლის განმავლობაში? - კონკრეტული მაგალითები: იუგოსლავიის სახელმწიფო დავალიანება დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებთან უდრის, ბრანკო მიკულიჩის სიტყვით, ოც(20) მილიარდ დოლარს(1986 წ.), ინფლაცია 1986 წელს გაიდიდა 80-ცი პროცენტიდან 100-ს პროცენტამდე, ე.ი. სტალინური სისტემის "კოსმეტიკური რეფორმები" სასურველ შედეგებს არ იძლევა, თუმცა იუგოსლავიის საგარეო დავალიანების მიზეზები საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაშიც უნდა ვეძიოთ.

## XIX.

სტალინური სისტემის "კოსმეტიკური რეფორმების" შედეგად, ესეც უნდა ითქვას, იუგოსლაველებს შეეძლიათ თავისუფალი მიმოსვლა, რის შედეგად ათი-ათასობით იუგოსლაველი მუშები მუშაობენ დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებში, თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი დანაზოგი შეიტანონ იუგოსლავიაში, და,თუ სურთ, ისევ გაბრუნდენ თავიანთ სამუშაოებზე უცხოეთში. მიმოსვლის ამგვარ თავისუფლებას,გა-

საგებია, მოყვა ტურიზმის არაჩვეულებრივი განვითარება, რაც იუგოსლავიის სახალხო მეურნეობისათვის უცხოეთის ვალუტის მიღების ერთერთი მთავარი წყაროა. ყველაფერი ეს, უთუოდ, დადებითი მოვლენებია, თუ, აგრეთვე, აღვნიშნავთ, რომ იუგოსლავიის საწარმოებში შემოღებულია "მუშათა თვითმმართველობა", რომლის დროს მუშები თვითონ წყვეტენ საწარმოს ყველა საჭირბოროტო საკითხს. მაგრამ ვითომ "მუშათა ამგვარი თვითმართველობა" ესიტყვება "მეორე და მესამე ინდუსტრიული რევოლუციის" მოთხოვნებს? - ამგვარი ეჭვი გამოთქვა, მაგალითად, იუგოსლავიის კომპარტიის თეორეტიკოსმა - ლეო მატესმა, რომელმაც გადაჭრით თქვა: "მუშათა დემოკრატია არასოდეს არ გამოდგა; ყველაფერს წყვეტს ხელმძღვანელობა". ხელმძღვანელობა კი ისევ პარტიული ბიუროკრატიის ხელშია.

"ეტატიზმმა, სახელმწიფო ბიუროკრატიამ შეაფერხა, შეწყვიტა თვითმართველობა, - თქვა ბრანკო მიკულიჩმა -, მაგრამ "მე არ ვიტყოდი, რომ სისტემა არ ფუნქციონირებს".

## XX.

და ეროვნული საკითხი? - იუგოსლავიის(ტერიტორია - 255.804 კვ.კილომეტრი; მოსახლეობა - 22.352.000 სული,1983 წ.; ბრუტო-სოციალ-პროდუქცია - 52.410 მილიონი დოლარი), - ფედერაციულ სახელმწიფოში შედის ექვსი რესპუბლიკა:

სერბია(ბელგრადი), ტერიტორია - 55.968 კვ.კმ.,მოსახლეობა - 5.046.000 სული,
ხორვატია(ზაგრები) " - 56.438 " " " - 4.340.000 ",
სლოვენია(ლიუბლიანა) " - 20.251." " " - 1.679.000 ",
ბოსნია-ჰერცოგოვინა(სარაიევო)- 51.128 " " " - 3.735.000 ",
მაკედონია(სკოპიე) " - 25.713 " " " - 1.551.000 ",
მონტენეგრო(ტიტოგრადი) - 13.812 " " " - 527.000 სული.

ორი ავტონომიური პროვინცია - ვოევოდინა და კოსოვო, დაახლოებით სამი მილიონი მოსახლეობით(1957 წლის მონაცემებით) - შედის სერბიის რესპუბლიკაში.

## XXI.

როგორც ვხედავთ, იუგოსლავია საბჭოთა კავშირის, ასე ვთქვათ, "მინიატურული" კოპიო-ასლია ეროვნულ საკითხშიაც, თუმცა "ველიკორუსული შოვინიზმის" გლობალური" რაობა თვით "რეგიონალური სერბიული შოვინიზმის" ჩაყლაპვა-მონელებასაც გულისხმობს. გერმანელმა ჟურნალისტებმა(კლაუს რაინჰარდტმა და ოლაფ ილაუმ) იუგოსლავიის მთავრობის თავჯდომარეს - ბრანკო მიკულიჩს - შეეკითხნენ: "სტრუქტურულად რაიმე უნდა შეიცვალოს, ამას მოითხოვს არა მარტო ეკონომიკა, არამედ ეროვნული პოლიტიკაც. სლოვენებს და ხორვატიელებს უკვე აღარ სურთ მათ მიერ გამომუშავებული ვალუტა გაუყონ ღარიბ რესპუბლიკებს. სერბიელები კი მოითხოვენ მათ მკვეთრ ჰეგემონიურ უფლებებს. კოსოვოს პროვინციაში, რომელშიც მოსახლეობის უმრავლესობა ალბანელებია, წლების განმავლობაში წარმოებს ბრძოლა მეტი ავტონომიური უფლებებისათვის. იშლება იუგოსლავია?"
და როცა ბრანკო მიკულიჩმა აღნიშნული შეკითხვის პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, გერმანელმა ჟურნალისტებმა დასძინეს:"უფრო გონიერი არ იქნებოდა იუგოსლავია გარდაქმნილ იქნას კონფედერაციად,ე.ი.სახელმწიფოთა კავშირად?" - "არა, მე არ მჯერა ეს", - იყო ბრანკო მიკულიჩის ლაკონური პასუხი, რამაც გამოიწვია გერმანელ ჟურნალისტთა კიდევ უფრო კონკრეტული შეკითხვა:
"სერბიის მეცნიერებათა აკადემიამ ერთ მოწოდებაში მოითხოვა მრავალპარტიულ

სისტემის შემოღება იუგოსლავიაში. სლოვენები კი მიდიან უფრო შორს და მოითხოვენ კომპარტიის წამყვანი როლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის კითხვის ქვეშ დაყენებას. ამგვარად კრიტიკა ეხება უკვე თვით სისტემის შეცვლას".
"მათ სურთ კომუნისტთა კავშირის პოლიტიკურ სცენიდან სრული გაქრობა. მაგრამ, თქვა ბრანკო მიკულიჩმა, - ეს არის ილუზია." "ჩემის აზრით, სერბიის მეცნიერებათა აკადემიის მოწოდება და ლიუბლიანაში(სლოვენია) გამომავალი ჟურნალის 'ახალი რევიუს' შეხედულებები პოლიტიკური პამფლეტებია..." "ამგვარად, არ უნდა არსებობდეს ილუზია არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ, რომ ჩვენ ჩვენს სისტემას დავიცავთ ყველა საშუალებებით", - დასძინა ბრანკო მიკულიჩმა.("შპ", ნომერი 13-1987,გვ.149-150). და ვითომ სწორედ ეს სისტემა არ.არის ძირმაგარა

<u>ჩეხოსლოვაკია!</u>

## XXII.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცეკას მდივანმა - ვასილ ბილიაკმა - კი, 20 თებერვლის გაზეთ "რუდე პრავოში" თქვა - 1968 წლის ე.წ-ლ"პრაღის გაზაფხულს" არაფერი საერთო არ აქვს გორბაჩოვის რეფორმებთანო. ამ ორ მოვლენას შორის, მისი აზრით, "არაფერი არ არის იდენტური. საბჭოთა კავშირის კომპარტიის ხელმძღვანელობა ცდილობს სოციალიზმი და სოციალისტური ერთობის გაძლიერებას, მაგრამ 1968 წელს ბრძოლა'სოციალიზმისათვის ადამიანური სახით' - მიმართული იყო სოციალიზმის დანგრევისაკენ, რომ ისევ ბურჟუაზიული პარტიები და სხვადასხვა ანტისოციალისტური დაჯგუფებები აღმოცენებულიყო".

<u>პოლონეთი!</u>

## XXIII.

პოლონეთის პავონ-პატრონმა - გენერალმა იარუზელსკიმ, მართალია, განაცხადა, რომ იგი "სრულიად" უჭერს მხარს მიხეილ გორბაჩოვის "დემოკრატიზაციისაკენ" მისწრაფებას, მაგრამ პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელმა ურბანმა თქვა, რომ რეფორმები პოლონეთში "თავისებურია". სინამდვილეს პოლონეთში არ შეესაბამება არც "საბჭოთა პირობები" და არც "საბჭოთა რეფორმები". პოლონეთი ეკონომიურ ცხოვრებაში ცდილობს "საბაზრო მეურნეობისა" და "გეგმიანი მეურნეობის" შ ე რ ე უ ლ ი ფორმის განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ პოლონეთში კოლმეურნეობის სისტემა უკვე დიდი ხანია შეცვალა კერძო მეურნეებმა, თუმცა მთელი სახალხო მეურნეობა მაინც ცენტრალური ბიუროკრატიის ხელშია.

## XXIV.

<u>ჩინეთის მაგალითი:</u> მაო ძედუნის გარდაცვალებისა და ე.წ-ლი"ოთხთა ბანდის" დამხობის შემდეგ, დენ სიაოპინი შეუდგა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავისებურ"გარდაქმნას", უმთავრესად, ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, რასაც მოჰყვა "თავისუფალი ბაზრის" განსაზღვრული დაშვება, რამაც, თავის მხრივ, "დემოკრატიზაციის" სურვილიც კი აღძრა ჩინეთის დიდ ქალაქთა მოსახლეობაში, განსაკუთრებით სტუდენტობაში. მაგრამ დენ სიაოპინი თვით"ჩინური"კომუნისტური სისტემის კითხვის ქვეშ დაყენებას გაურბის ისე, როგორც გორბაჩოვი თავს არიდებს რუსული ბოლშევიკური სისტემის კითხვის ქვეშ დაყენებას. მაგრამ ე.წ-ლი ლიბერალიზაცია,ჩინეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში, როგორც სჩანს, გაცილებით უფრო შორს მიდის, ვიდრე საბჭოთა კავშირში. ავიღოთ ჩინეთის ერთ-ერთი პროვინ-

ციის - ძენიანის, დენ სიაოპინის "ლიბერალ"-მომხრეთა სანიმუშო რაიონი - ვენჟუ=Wenzhou , რომელიც მდებარეობს 350 კილომეტრის დაშორებით შანხაიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### XXV.

"ვენჟუს მოდელი" ჯერ კიდევ 1980 წელს მოწონებულ იქნა ჩინეთის ცენტრალური პარტიული ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან, როგორც სჩანს, მოსახლეობის კერძო-ინიციატივისაკენ მისწრაფებამ სტიქიური სახიათი მიიღო: ვენჟუში, ამ 530-ათასიან ქალაქში, სასტუმროები და ფაბრიკა-ქარხნები უკვე კერძო მესაკუთრეების თუ მენეჯერების ხელშია. მაღაზიები და საწარმოები, ვაჭრები და საქმოსნები, ხარაზები თუ სახელოსნოები, მეტ-ნაკლებად, ჩინეთში კერძო პირების ხელშიაა, მაგრამ, როგორც სჩანს, მხოლოდ ვენჟუში კერძო ინიციატივა-საკუთრებამ ისე შეავიწროვა სახელმწიფო საწარმოები, სავაჭროები თუ სახელოსნოები, რომ, როგორც ამბობენ ხოლმე, "ვენჟუში მთავრობას ძალაუფლება არ გააჩნიათ".

### XXVI.

სულ შვიდ-მილიონ-სამასი-ათასია მოსახლეობა ამ რეგიონისა, რომლის ცენტრია ქალაქი ვენჟუ, და ამბობენ, რომ ამ რეგიონში არის ცხოვრების ყველაზე უფრო მაღალი დონე მთელს ჩინეთში. აქ უკვე არა მარტო პატარა საწარმოები, ატელიეები, საავტომობილო მიმოსვლა თუ სხვა სამომხმარებლო უწყება მუშაობს "თავისი ანგარიშით", არამედ მენადნობათა ქარხნები, დუღის ქარხნები და თვით ბანკებიც კი. 82-ი პროცენტი ამ რეგიონის 9.617 საწარმოდან - კერძო პირების ან კოოპერატიული საზოგადოებათა ხელშია, რომელთათვის მ ო გ ე ბ ა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იდეოლოგია. 1978 წლიდან - 1985 წლამდე ამ რეგიონის ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის პროდუქცია გაიზარდა თითქმის ორასი პროცენტით. გლეხების თითოეული სულის წლიური შემოსავალი 1977 წელს უდრიდა 55 იუანს, 1986 წელს კი 508 იუანს, ე.ი. თითქმის ათჯერ მეტს. კიდევ მეტი: გლეხების ერთი-მესამედის წლიური შემოსავალია ათასი და მეტი იუანი.

### XXVII.

და მიუხედავად ამგვარი წარმატებებისა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ვენჟუ ერთერთი ყველაზე უფრო ჩამორჩენილი პროვინცია იყო ჩინეთში: გზები მეტად ცუდი, ვიწრო და გადატვირთულია. უახლოეს რკინი-გზის სადგურამდე, ხშირად, ათი საათი უნდა იყო გზაში. შანხაიში ნავით ჩასვლას კი სჭირდება 24-ი საათიც კი. თვით სახნავ-სათესი მიწებიც მეტად მცირეა: 39-თ გლეხზე მოდის ე რ თ ი ჰექტარი მიწა. მაგრამ ვენჟუელები არიან არა მარტო მიწის უბადლო მუშები, არამედ საუკეთესო ვაჭრებიც, რომელთა ბაზარია მთელი ჩინეთის უზარმაზარი ტერიტორია ერთმილიარდიანი მოსახლეობით. ამგვარად, ვენჟუს გლეხებმა, მწარმოებლებმა, ვაჭრებმა, ხელოსნებმა ეს ჩამორჩენილი რეგიონი"ეკონომიკური სასწაულის" არედ აქციეს: 147-ე სპეციალურ გამოფენებზე გაჩაღებულია განუწყვეტელი ვაჭრობა თითქოს ჩინეთის ეს რეგიონი სახალხო მეურნეობის ნაწარმთა განუწყვეტელ გამოფენათა არე იყოს.

### XXVIII.

და მოსახლეობაც უკვე აღარ ერიდება ფუფუნებაში ცხოვრების ყიდვას! სამას-ათასი იუანის ღირებულების ეზო-სახლის აშენება არც ისე იშვიათია ვენჟუს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონში; ხოლო ქორწილზე 250-ი და მეტი სტუმრის დაპატიჟება - ჩვეულებრივი მოვლენაა.

XXIX.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის სახელმწიფო ბანკები კერძო ფირმებსა და საწარმოებს იშვიათად აძლევს კრედიტს, ვინძუს კერძო მწარმოებლები მაინც ახერხებენ კაპიტალის თავმოყრას, პირველ ყოვლისა, ნათესავებში: ორმა ძმამ ჩ ე ნ მ ა, მაგალითად, სამი წლის წინათ,დაიწყეს პლასტიკის ფაბრიკის აგება, რომლისათვის ნათესავებში თავი მოუყარეს 20.000-ს იუანს, როგორც ფირმის შესაქმნელ კაპიტალს; და დღეს ამ ფაბრიკის წლიური შემოსავალი ოთხ მილიონ იუანს აჭარბებს, რის შედეგად კაპიტალდამბანდებლები,ე.ი.,ასე ვთქვათ,"აქციონერები" დიდ მოგებას, "პროცენტებს" ღებულობენ.

XXX.

და ამგვარმა "ეკონომიკურმა სასწაულმა" თვით საზოგადოებრივი ცხოვრებაც შეცვალა: ძველ, "კლასიკურ ჩინეთში" სახელმწიფო მოხელეები და სწავლულები იყვნენ საზოგადოების უმაღლესი ფენა; დღეს კი პარტიული ბიუროკრატიის გავლენა შესუსტებულია და წინა პლანზე გამოვიდა ფულის მფლობელები; ფული კი აქვთ გლეხებს, მწარმოებლებსა და ვაჭრებს. და მიუხედავად საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარი ცვალებადობისა, პეკინის ხელმძღვანელობა მაინც ლაპარაკობს "ვინძუს მოდელზე" როგორც კომპარტიის მოდელზე, და არ გაისმის ხმა "ბრძოლისა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წინააღმდეგ". თვით ვინძუელები კი ამბობენ, რომ პეკინის კომპარტიის "მათრახი გრძელია, მაგრამ ჩვენამდე ვერ აღწევსო!"

XXXI.

კითხვა: მიხეილ გორბაჩოვი - რუსი დენ სიაოპინი?..

პასუხი:"კი" და "არა" ერთდროულად. "კი" იმიტომ, რომ დენ სიაოპინის კომპარტიის ლიქვიდაციის შეცვლის, ე.ი. მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის დამყების გარეშე,ცდილობს, პირველ ყოვლისა, სახალხო მეურნეობის "მესამე ინდუსტრიული რევოლუციის" თუ არა, "მეორე ინდუსტრიული რევოლუციის" გზაზე დაყენებას; და განა გორბაჩოვს, როგორც რუსს, შეუძლია ჩინეთის ამგვარ განვითარებას, რუსეთის სამხრეთით, გულზე ხელდაკრეფილი შეხვდეს თუ მას სურს რუსეთის უზარმაზარი დაუსახლებელი ტერიტორიის შენარჩუნება?.. "არა" იმიტომ, რომ - საბჭოთა რუსეთისაგან განსხვავებით - ჩინეთი ერთი დიდი მთლიანობაა ტერიტორიალურად და ეთნოგრაფიულად, მისი ერთ მილიარდზე მეტი მოსახლეობით,რაც ეკონომიკური განვითარების წარმოუდგენელ შესაძლებლობას იძლევა, თუმცა ჩინეთმაც ვერ აარიდა თავი ტიბეტელებზე თუ იუგურებზე ბატონობას, და ამით მათი ეროვნული უფლებების უგულებელყოფას.

XXXII.

და შესაძლებელია აქედან რაიმე დასკვნის გამოტანა?..

თუ გორბაჩოვსა და მის მომხრეებს გულწრფელად სურთ საბჭოთა სისტემის"გადემოკრატიულება", მათ უარი უნდა თქვან ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს ეროვნულ პოლიტიკაზე, ე.ი.სტალინურ იმპერიაზე, ე.ი.სხვა სიტყვით არა-რუსი ქვეყნებისა და ერების ბატონობაზე, რაც, უდავოა, დიდ ტვირთს მოხსნიდა თვით რუსის ერსა და რუსეთს, რომელიც ამდენ ენერგიასა და ეკონომი-

კურ სახსრებს ფლანგავს არარუსი ..ბი.. და ხალხების მის მბრძანებლობაში
ყოფნისათვის.
იმპერიების ხანა ისტორიას ჩაბარდა, და ამგვარ ისტორიულ კანონზომიერებას
ვერც საბჭოთა შეკოწიწებული უზარმაზარი იმპერია ვერ აარიდებს თავს, თუ
გნებავთ, ისეთი "ფრთა-მოტეხილი" "კოსმეტიკური რეფორმებით", რომელთა ცხოვ-
რებაში გატარებას გორბაჩოვი ლამობს; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ,ვთქვათ,
"კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ", ეთუოთ, ხელს შეუწ-
ყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის, ასე თუ ისე, გაუმჯობესებას, მაგრამ
სტალინიზმის არსის შეცვლა მას არ შეუძლია, და,წარმოუდგენელია, რომ ეს
არ ესმოდეს თვით მისეულ გორბაჩოვსაც.

## XXXIII.

და დასავლეთი? - დასავლეთს,ვფიქრობ, საბჭოთა კავშირის უშველებელი ბაზარი
უფრო აინტერესებს, ვიდრე საბჭოთა ეკონომიკის გამოჯანსაღება,ვინაიდან და-
სავლეთს,იაპონიის ჩათვლით, განა სურს ახალი კონკურენტის გაძლიერება საერ-
თაშორისო ბაზარზე?.. დასავლეთმა იცის აგრეთვე, რომ "განიარაღება" გორბაჩო-
ვისათვის კი არ ნიშნავს ძალადობაზე უარის თქმას, არამედ - ერთი მხრივ -
დასავლეთის"მიძინებას", ხოლო - მეორე მხრივ - სახსრების განსაზღვრული ნაწი-
ლის განიარაღებიდან ეკონომიკის ჩამორჩენილ სექტორებში დაბანდებას. მაგრამ,
როგორც ჩანს, დასავლეთის "მიძინება", თუ გნებავთ, გორბაჩოვის ცნობილი გა-
მოთქმით -"დემოკრატია ჩვენ გვჭირია ისე, როგორც ჰაერი" - შეუძლებელი ხდე-
ბა. დასავლეთის, სულ ცოტა, ზოგიერთი მოღვაწე კარგად ხედავს ამ "საშიშ თა-
მაშს": "გორბაჩოვი ცდილობს - თქვა,მაგალითად, ამერიკელმა პოლიტიკურმა მო-
ღვაწემ ზბიგნიევ ბრჟეზინსკიმ - საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მო-
დერნულ რელსებზე გადაყვანას თვით სისტემის შეცვლის გარეშე. ეს კი საშიში
და მაცდური თამაშია". შეერთებული შტატების ყოფილმა საგარეო მინისტრმა -
ჰენრი კისინჯერმა - კი განაცხადა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ დაიწყო რე-
ფორმები არა იმიტომ, რომ იგი უბრუნდება კაპიტალიზმსა და დემოკრატიას, არა-
მედ იმიტომ, რომ მას სურს გახდეს კონკურენციის უნარიანი. დასავლეთ გერმა-
ნიის ყოფილმა კანცლერმა - ჰელმუტ შმიდტმა - სიმპოზიუმზე, ჯორჯ-თაუნის უნი-
ვერსიტეტში(ვაშინგტონი) კი განაცხადა:"ჰიუხედავათ იმისა, მისეულ გორბაჩოვს
ექნება წარმატება თუ არა, რუსეთის აწ უკვე ხუთასწლიან შეუწყნარებელ ექს-
პანსიურ პოლიტიკაში არაფერი არ შეიცვლება".("ზც!,3.4.87 და 4.4.1987),

## XXXIV.

ეკონომიკაში კი - "მესამე გზა" უნდა ჩაითვალოს "ველური თავისუფალი
ბაზრისა" და "ველური გეგმიანი მეურნეობის" მანკიერებათა გარდასალახავ
მიმართულებათ, რომელიც სხვა რა უნდა იყოს თუ არა "ს ო ც ი ა ლ უ რ დე-
მოკრატიიდან" გამომდინარე "ს ო ც ი ა ლ უ რ ი საბაზრო მეურნეობა", რომ-
ლის დროს ამა თუ იმ "წმინდა" თეორიის ვარგისიანობის საზომი პრაქტიკა უნ-
და იყოს, ე.ი. ეკონომიკური სარგებლიანობა,ნედლი მასალის დაზოგვისა და
ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის პირობებში, რომლის დროს ძალაში რჩება
დევიზი - რაც შეიძლება მეტი ნაწარმის მიღება, რაც შეიძლება ნაკლები სა-
შუალებებით. და ვინაიდან ადამიანის(გენეტიკური?) მისწრაფება კერძო საკუ-

თრებისაკენ გარდაუვალსავი და ეკონომიკურად არასასურველიც მოსჩანს, კერძო და საზოგადო ინტერესები და საკუთრება იმდენად უნდა იქნას შერწყმული ერთმანეთთან, რომ "საბაზრო მეურნეობისა" და "გეგმიანი მეურნეობის"(მეტა-ნაკლები)მანკიერებანი გარდალახული უნდა იქნას "ს ო ც ი ა ლ უ რ ი დემოკრატიისა" და"ს ო ც ი ა ლ უ რ ი საბაზრო მეურნეობის" გზით. და საამაყოა, რომ ამ გზაზე იდგა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალური ცხოვრება 1918-1921 წლებში, რაც ასე უდროოდ შეწყვიტეს გორბაჩოვის წინამორბედებმა - ლენინმა და სტალინმა.

XXXV.

"ყველაფერი დინებაშია"; უცვლელი ყოფიერება შეუძლებელია; ყოველი ყოფიერება მარადიული შექმნაა - და აი, ამ მარადიული კანონზომიერების წინააღმდეგ მოქმედებენ ბოლშევიკები აგერ უკვე ორი-მესამედი საუკუნეა. და ახლა,ვითომ გორბაჩოვი იმავე გზაზე არ დგია, როცა ის - საბჭოთა სისტემის შეცვლის გარეშე - "საჯაროობის", "დემოკრატიის" თუ "გარდაქმნის" დანერგვას ცდილობს?.. მიუხედავათ მიხეილ გორბაჩოვის რეფორმების ამგვარი წინააღმდეგობრიობისა, ჩვენ მაინც ვესალმებით საბჭოთა ცხოვრებაში ყოველი სახის უმცირეს რეფორმასაც კი, თუ მას მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების დონის ამაღლება მოყვება. და ვინ იცის, ამგვარმა რეფორმებმა თვით ეროვნული საკითხიც დააყენოს დღის წესრიგში?..

კარლო ინასარიძე,
პარიზი, 1987 წლის მაისი
======================

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ "ჩ. დ-ის"სამაისო ნომერში, რომელიც გამოქვეყნდა პარიზში 1925 წელს ჟურნალ "ბრძოლა"-ს დაარსებასთან დაკავშირებით.
მე ამ დროს ჯერ კიდევ საქართველოში ვიმყოფებოდი, როდესაც ჩვენი ბელადის ეს ცოცხალი , გამამხნევებელი ისტორიული ბრწყინვალე ცნობარი არალეგალური გზით მივიღეთ, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა.
ეს წერილი დღესაც სადღეისო და აქტუალურია, რადგან ისაა ჩვენი წარსულის შემსწავლელი, აწმყოს გაკვეთილი და მომავლის გზის მაჩვენებელი და გამომცნობი.
"ჩ.დროშა" საქართველოში ჩადის და ამიტომ ხშირად უნდა ვწეროთ დამოუკიდებლობის ხანაზე. და მის ნამდილ ისტორიაზე , მოუთხროთ იქაურ ჩვენს ახალგაზრდობას მათ მამა-პაპათა საამაყო ბრძოლებზე და მიღწევებზე, რადგან მათ დამპყრობელი ხელისუფლება არ აწვდის ნამდვილ ცნობებს და ჩვენს დიად წარსულს უსირცხვილოდ აყალბებენ.

პატივის ცემით ვალიკო ჩუბინიძე.

კულტურის გაცნობა უცხოელებისათვის, არამედ ამ ახალ ორგანიზაციის წევრთა გამოყენება მათი "მილწევების" მეხოტბე პროპაგანდისტებათ და მებრძოლი ემიგრაციის წინააღმდეგობის გასატეხათ.

ამიტომ ჩვენ არ ვიზიარებთ და ვგმობთ ბატონ ტიერი ბერიშვილის წერილობით მოწოდებას , რომელსაც დართული აქვს ორგანიზაციის დანიშნულებისა და მიზნების ვრცელი განმარტებითი წესდება .

ჩვენ მოუწოდებთ ქართველთა ემიგრაციას არავითარი კავშირი არ დაიჭირონ ამ ორგანიზაციასთან და მას ბრძოლა გამოუცხადონ.

ჩვენსა და მათ შორის ხიდი ჩატეხილია სანამ ქართველი ერი ტყვეობაშია.

საქ. ს. გარეთელი პრეზ. ბიურო.

--..--

## მცირე რამ ადამიანზე.

--..--

საშინელ ხანაში მიმდინარეობს ჩვენი საუკუნე, ომიანობა, ტერორიზმი, პოლიტიკურ პირთა გატაცება, სხვა და სხვა სახის კრიმინალობა, რასიზმი, უმუშევრობა და სხვა,გახდა ჩვენი პლანეტისათვის ჩვეულებრივი მოვლენა. გრანდიოზულმა ტექნიკისა, და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებამ შეარყია გასულ საუკუნოების ცხოვრების ადათ-წესები, გონების ქვეყანამ დიდათ გააფართოვა თავის რაციონალისტური სამყაროს საზღვრები, რის გამო ადამიანი გახდა მისი მონა მორჩილი. სოციალურ ცხოვრების სინამდვილეში აღარ არის სიმშვიდე,და მოქალაქალაქრობივი მყუდროება, ყველა მძალი გრძნობები და იდეალები უგულვებელყოფილია, არსათ სჩანს ზავი და ნდობა, გულწრფელობა და ნამუსი,ყველა ჩაკეტილია თავის პირად ცხოვრების სამწყოში, რამაც დიდათ გაზარდა, და გააფართოვა ეგოისტური სულიერი მწამსის ნაირსახეობა. ჩვენი საუკუნის დიდმა უმანისტმა მახატმა განდიმ დაგმო, და უარყო ინდუსტრიალური ცივილიზაციის კულტურა, რომელსაც მან ატეისტური და ულმერთო სამყარო უწოდა. ჩვენს თვალ წინ ყოველ დღიურად წარმოისახება ჩვენი საუკუნის მანკიანი არსებობის სინამდვილე. აი რას სწერს ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი ანდრე ფროსარდი როცა იგი აკრიტიკებს თანამედროვე ეპოქის რეალობას:"ორი ათასი წლის შემდეგ ბარბის პროცესზე ილაპარაკებენ ისე, როგორც დღეს ლაპარაკობენ ბაბილონის მოსახლეობის გარეკვა გადასახლებაზე, წმინდა ბარტელემის ხოცვა ჟლეტაზე, ან და ტერორზე. მეოცე

საუკუნე დარჩება სიძულვილის საუკუნეთ, ნაზიზმი გერმანიაში, ფაშიზმი იტალიაში და სტალინიზმი. პირველათ კაცობრიობის ისტორიაშიდ სიძულვილი ხდება კონსტიტუციონალურ პრინციპათ(ფიგარო" 6მაისი1978წელი,ავტორი არაფერს ამბობს სომხების ხოცვა-ჟლეტაზე).
ამ მიზეზით ადამიანის პრობლემა ისევ პრობლემად რჩება. მისტიური საზურველით არის ის შესუდრული, როცა ჩვენ ვეხებით მის ბუნებისა და რაგვარობის საკითხს. ჩვენ ხშირად ვსვამთ საკითხს და ვამბობთ, რა არის ადამიანი, რას წარმოადგენს მისი არსება, საიდან მოდის, არის ის ღვთაებრივი წარმოშობის შედეგი(ქრისტიანული რელიგია ტ. შარდენი)თუ ევოლიუციური პროცესის ფენომენი(დარვინი). გარეგნულად კი ის ძუდამერთი და იგივე სახით გამოიცქირება, სახელდობ, ფულისა და ქონების, ბატონობისა და დიდების მოყვარული, მატერიალური ყოფიერების მეხოტბე, და ეს მთელი მისი არსებობის მანძილზე, ჯერ კიდევ თავის დროზე ჟან-ჟაკ რუსომ შენიშნა, რომ " მეცნიერება და ხელოვნება წინ მიიწევს შეუჩერებლივ, მაგრამ ადამიანი, კი უფრო და უფრო ცუდი ხდება".- მონტენისათვის ადამიანი არც ცუდა არც კარგი, ანუ ცუდიცა და კარგიც. თავისებურ შეხედულებას გამოთქვამს ადამიანის შესახებ დიდი ჰუმანისტი დამოუკიდებელ საქართველის პირველი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია:"ზოგს გონია, რომ ადამიანი ყველა საძაგელია, ე.ი. მათვის კაცი წინდაწინვე მხეცია, რომელსაც თუ არ მოერიე მოგერევა. ამ აზრს მე არ ვიზიარებ; ყველა ადამიანი არის ღვთის ნაპერწკალი, საჭიროა მისი აღმოჩენა და სურვილი მისი აღმოჩენის. ადამიანს მე ვუცქერი, მაშასადამე, წინასწარი თანაგრძნობით:მისი ავი მაწუხებს, კარგი მახარებს,

ამიტომ სრულიად მიუღებელია ჩემთვის მისიჩაქოლვა,მი-
სი დამცირება, წაქცევა. მიყვარს დამარცხება, წაქცე-
ვა ცუდი აზრის , გლახა მიმართულების, არმიყვარს და
არც მსურს წაქცევა თვით ადამიანის".დავასახელებთ
აგრეთვე სენ- ოგუსტენის შეხედულებას, მისი შეხედულე-
ბით, ადამიანის გაჩენისა და წარმოშობის სინამდვილე,
ერთი მშვენიერი საოცრებაა, რომ ადამიანი ანხორციე-
ლებს თავის თავში, მაღალ იდეალების სამყაროს, მა-
გრამ ამავე დროს, ის არ ივიწყებს ომებთან დაკავში-
რებულ ადამიანს, რომელიც მისი აზრით სატანური ყო-
ფიერებისაა. ომი პირდაპირი მნიშვნელობით ბიოლოგიური
პაროქსიზმია და სულის მილიტარული ანექსია, თუ შე-
ძლება ამის ლიტერატურულად ამგვარად გამოთქმა- სულის
ანექსია რასაკვირველია, რომ შეუძლებელია, არამედ
მისგან განდგომა. ომის სტიქია ადამიანის სოციალურ
ცხოვრებაში, ერთი საშინელი მოვლენაა, ის მუდამ იყო
და დღესაც დაკავშირებულია ხოცვა-ჟლეტასა, დანგრევა
აწიოკების საშინელ აქტებთან.

მოპასანის ერთი ნოველის პერსონაჟი , ომზე საუბრის
დროს აცხადებს:"განა სისაძაგლე არ არის ადამიანის
კვლა, არის ის ეროვნებით ინგლისელი , პრუსიელი, პო-
ლონელი თუ ფრანგი".- "მიწიური ადამიანის"სამეფოდ
მას მიაჩნია ბაბილონი, რომლის სახელმწიფო საჭე, ყა-
ჩაღებისა და ავაზაკების ხელშია. წმინდა ავგუსტინი
აცხადებს:"სამართლიანობას მოკლებული სამეფო , განა
ყაჩაღების ასპარეს არ წარმოადგენს".ამ სიტყვებთან
დაკავშირებით ის იგონებს ალ. მაკედონელის ცხოვრე-
ბიდან, მეფის ერთ ეპიზოდს, გემზე თავდამხმელ პირატის
დიომიდისის ამბავს. დიომედისი ეწეოდა გემებზე თავდა-

ხხმას და ცარცვა გლეჯას, და როგორც უშიშარსა და მარჯვე მეკობრის დიდი სახელი ქონდა გავარდნილი.
წმინდა ავგუსტინს გამოყავს ეს ორი წრისა და რანგის პიროვნება ერთ ისტორიულ სიბრტყეზე, როცა მათ წარმოიდგენს , როგორც ხალხის მტანჯველებს. როდესაც ერთ დღეს ეს თავხედი და უშიშარი პირატი, მაკედონელის ჯარმა, შეიპყრო და გასამართლებლათ მეფეს წარუდგინეს, მეფის ხხვა და ხხვა კითხვაზე დიოდემისმა უშიშრად უპასუხა:"რადგანაც მე ვმოქმედობ პატარა გემით, მე მეძახიან ყაჩაღს, ხოლო შენკი, რომელიც ამავე ხელობას ეწევი ,როგორც მე , მაგრამ უფრო დიდი მძლავრი ფლოტით, ამის გამო მეფეს გიწოდებენ".
ერთობ დიდი ადგილი უჭირავს კაცობრიობის ისტორიაში. დიაბოლიკურ სამყაროს, ყოველი ცდა მშვიდობიანობის დამყარებისა ჯერჯეროთ უშედეგოთ თავდება, ცხადია, ასეთი ულმობელი ვითარება არ შეიძლება, რომ ადამიანის გარეშე იყვეს არამედ თვით ადამიანია ამძის ავტორი (ზოგადათ), ერთმა მეცნიერმა ხცადა გამოანგარიშებია თუ კაცობრიობის ისტორიაში რამდენი იყო ომიანობა და რამდენი მშვიდობიანობს ხანა. მან დათვალა ოცი საუკუნის (ახალი წელთაღრიცხვის ხანიდან)მანძილზე ყველა ომიანობის ხანა და მიიღო შემდეგი სურათი:მხოლოდ ორი საუკუნე აღმოჩნდა მშვიდობიანობა(შედარებით)ხოლო დანარჩენი 18 საუკუნე კი კაცობრიობა დღე და ღამის ერთმანეთზე გადაბმით შეუწყვეტელი ომის ქარ-ცეცხლში იყო ჩაბმული. ასეთია ადამიანის სინამდვილე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თანამედროვეტექნიკურ განვითარების როლს, ზევრად არაფრით არ განსხვავდა უძველეს ხანის ადამიანისაგან. ჩვენს საუკუნეში ტირანიამ ფართოდ

გაშალა თავისი მომაკვდ. ხეზელი ფრთები, აქაც ადამიანი ხჩანს მის ყოფიერების ცენტრში, ქვეყნებმა ამ სამი ტოტალიტარული რეჟიმ..ს ბატონობისაგან დიდი ტანჯვა ვაება გადაიტანა. მომავალი როგორია? უფრო ოპტიმისტური ვიდრე პესიმისტური! უპერსპექტივო რეჟიმების (დიქტატორული)გვერდით ..მოუკიდობლივ, ამოდის, ყვავის და იზრდება თავისუფალი დემოკრატიული რეჟიმი, რომლის წიაღში აპრიორი მოცემულია უმანიზმის უმაღლესი იდეალები. ამ საფუძველზე მდგარი კაცობრიობა ნელ-ნელა წინ მიიწევს უკეთეს მომავლისაკენ და ეს მთელი მასის, ხალხის აქტიურ მოქმედებით.ლოზუნგი, რომ"სახელმწიფო ეს მე ვარ", მშრალი და უსიცოცხლო პოლიტიკური ფორმულაა, კაცობრიობის მოძრავ სინამდვილეში მთავარი გადამწყვეტი როლი როლი, მასას, ხალხს უჭირავს, ცალკე პიროვნებათა როლი ისტორიის ცოცხალ სინამდვილეში, მეორე ადგილზე გამოდის. თომა კარლერის ფორმულა , რომ ხალხების ისტორიაში"ბიოგრაფია ცნობილ პიროვნებების" მშრალად გამოიცქირება, და ისტორიულ ყოფიერების სიზრტყეზე უნაყოფო რჩება. მუსოლინ-: გიტლერის საშინელი რეჟიმი, თავისუფლების მოყვარულმა ხალხებმა დაამხვეს, რიგში სტალინის რეჟიმია, მომავალი, მასას, ხალხებს ეკუთვნისთ, რადგანაც, ხალხების არსებობას, თავისუფლების და სამართლიანობის გრძნობები თან ახლავს, და ეს საწინდარია მისი გამარჯვებისა.ეს გამარჯვება თავისუფუფალ დემოკრატიზმის და სოციალიზმის გზით აღსრულდება.

გაუმარჯოს თავისუფლებას და სამართლიანობას.

--..--

გივი.

# - D E C L A R A T I O N -

--..--

Nous sommes les enfants d'un peuple opprimé . La force étrangère nous a arraché la liberté politique ainsi que la liberté nationale ; nous sommes sous le joug en tant que peuple et nation .

Qui comprendra mieux notre souffrance que celui qui croit en ces deux libertés et qui a inscrit sur son drapeau le droit de l'homme et le droit des peuples, et qui a déclaré ce droit pour tout le monde, pour toute l'humanité ? C'est la France qui était et reste le défenseur des opprimés . La France a su réunir en elle-même l'esprit français et universel, l'esprit national et humanitaire .

Nous ne croyons pas et n'avons jamais cru que ceux qui imposent le despotisme à leur propre peuple, pourraient apporter aux autres la liberté, et que les conquérants de peuples libres puissent affranchir les nations opprimées . Le banditisme international détruit tous les droits sous toutes ses formes . Deux drapeaux opposés flottent aujourd'hui sur le monde : celui de la liberté, et celui de l'esclavage ; la place du drapeau Géorgien se trouve dans le camp de la liberté .

Tel est le mobile de notre orientation politique et dans la même direction vont nos pensées nationales .

Le peuple Géorgien souffre sous la domination de la Russie Soviétique ; il n'a jamais admis cet état de choses, et combat sans cesse son oppresseur, le Pouvoir Soviétique, et avec celui-ci tous ceux qui l'aident , contre tous ses alliés quels qu'ils soient . Nous n'étions jamais, nous ne sommes et ne seront en aucun temps du côté de l'URSS et de ses défenseurs, ni au point de vue idéologique, ni politique, ni national . Il y a longtemps que les ponts sont rompus entre nous et que la lutte entre nous est déclarée . Maintenant les Alliés se sont placés dans la même position que nous . La dénonciation du bolchévisme par nous comme l'ennemi, non seulement de la Géorgie mais aussi de toute l'humanité, comme résurrection de l'ancienne barbarie russo-asiatique, est devenue évidente aujourd'hui etest partagée par le monde civilisé .

Nous n'avons pas changé notre place, et la ligne de notre conduite reste la même qu'auparavant, sans aucune variation . L'histoire a justifié notre position, la position du peuple Géorgien, et aujourd'hui notre point de vue est partagé par la démocratie mondiale . Et, si jusqu'à maintenant, nous étions animés par l'espoir, aujourd'hui notre espoir est fondé sur une base réelle .

---..---

Communauté georgienne

# La plus importante de France après Paris

# Le Pays de Montbéliard



Les armoiries de la République de Georgie.

MARDI 12 AVRIL 1983

### Un peu d'histoire...

*Sous les tsars, la Georgie subit une pesante colonisation. Lors de la Révolution de 1917, le Caucase se libère de la Georgie, rétablit son indépendance nationale. Une indépendance que la Russie soviétique accepte dans un premier temps. Ce qui ne l'empêche pas en février 1921 d'envahir la Georgie et de la conquérir après cinq semaines de combats. La Georgie conserve néanmoins sa légation nationale en exil en France jusqu'en juillet 1933. Malgré sa résistance, l'insurrection d'août 1924, la Georgie devient l'une des Républiques de l'URSS. Aujourd'hui, elle compte 4 millions d'habitants. Elle fournit à la Russie outre ses nombreux diplômés, se produits miniers, agricoles, son industrie chimique, électrique, etc.*

Venu d'un pays que les Français connaissent mal, pays situé dans l'isthme caucasien et bordant la mer Noire, pays dont l'histoire a été une lutte contre toutes les intrusions, toutes les colonisations, pays qui jusqu'en 1924 a payé chèrement sa volonté d'indépendance et de liberté, un homme dont personne ne se souvient, arrive en 1925 à Audincourt avec un contrat de travail des automobiles Peugeot en poche.

Cet homme qui, comme tant d'autres, a fui une Georgie envahie depuis février 1921 par la Russie, une Georgie ensanglantée par la répression terrible qui suit l'insurrection d'août 1924, a traversé les routes de Turquie, a fait étape à Istanboul pour y trouver une situation de fortune avant de prendre un bateau pour Marseille et rejoindre la terre de France.

D'autres suivront le même périple pour aboutir les uns à Paris (c'est le cas du président de la République, Joe Jordania et de son gouvernement), les autres plus nombreux dans le Pays de Montbéliard où un travail les attend.

## Un idéal

Au bout de quelques mois, ils sont près de deux cents, employés pour la plupart aux Forges qui s'installent dans des barraquements de bois prêtés par Peugeot à Audincourt et Valentigney. Ainsi est née une communauté qui, pendant de longues années, restera profondément attachée à sa culture et son idéal nationaliste.

### La communauté à Audincourt en 1929

A de multiples reprises, ministres en exil et le président Jordania en personne viennent à Audincourt pour saluer l'esprit de résistance qui se perpétue dans la communauté; parfois aussi pour calmer les esprits échauffés car la plupart [illegible] d'une Georgie indépendante.

Quelques années s'écoulent et la communauté s'installe en majeure partie à Sochaux; les Georgiens sont logés dans les hôtels Peugeot où ils possèdent leur réfectoire et leur bibliothèque, détruits lors du bombardement de Sochaux à la fin de la Deuxième Guerre mondiale. Ce lien de vie et de rencontre essentiel n'est pas immédiatement remplacé.

Dans les années cinquante, la communauté dont l'importance numérique a décru, acquiert ses propres locaux dans une maisonnette située à Sochaux et qui abrite aujourd'hui encore l'Association géorgienne.

Bien entendu, la vie de la communauté n'est plus ce qu'elle a été à ses débuts.

Aux Georgiens de la première vague en 1925-1926 ont succédé ceux de la seconde vague dans les années trente.

## Disparition?

Les enfants et petits-enfants de ces derniers, pour la plupart, ne parlent pas leur langue maternelle et ne suivent que de loin les activités, les rencontres de l'association.

[illegible] création de cette communauté, son regroupement dans une première phase, sont celles qui ont entraîné naturellement sa disparition ou à tout le moins son absorption.

Demeure malgré tout les traces de cette histoire, une façon de concevoir les choses, tradition menacée certes mais qui n'en a que plus de valeur.

Si la communauté du Pays de Montbéliard à la fin des années vingt a été la première de France puis s'est effacée devant celle de Paris, aujourd'hui elle reste dans le coeur de tous les Georgiens de France comme le seuil d'un espoir sans cesse nourri, celui de la liberté reconquise.

## Présidents de l'association

*Ancien ambassadeur en Pologne, Lado Bakradze crée en 1926 l'Association georgienne du Pays de Montbéliard. Aujourd'hui cette même association est présidée par Grégoire Kvartshava qui est le huitième de ce nom à perpétuer la flamme georgienne.*

*Ces hommes qui ont laissé leur empreinte dans la communauté ont été Alexandre Chirichvili, puis Elia Saloukvadze, Nicolas Oraguelidze, Yves Abouladze, Yazon Chavdia, Severian Tchirakadze.*

*Grégoire Kvartshava est né il y a près de 76 ans à une centaine de kilomètres de la capitale, Tiflis.*

*Après l'insurrection d'août 1924, il fuit la Georgie, se rend avec la complicité d'un passeur en Turquie où il est arrêté puis remis en liberté. Deux années durant, il travaille à Istanboul dans la maçonnerie avant qu'un de ses amis ne lui propose un emploi en France dans la région d'Epernay. Ce n'est donc qu'au début des années trente qu'il arrive à Audincourt avant de s'installer à Sochaux puis à Montbéliard où, après une vie de labeur, il coule des jours heureux et paisibles. Trésorier de l'association depuis 1952 et président depuis six ans, Grégoire Kvartshava fait partie de ces quelque vingt derniers témoins de la communauté.*

*Ville cosmopolite s'il en est, Montbéliard demeure un kaléidoscope humain qui recèle ses propres mystères, ses situations virtuelles en permanente mouvance et que l'on côtoie, au quotidien, sans en mesurer les richesses.*

*Mystère, il en est comme celui de la communauté georgienne, la plus importante de France après celle de Paris et qui, dans quelques années, ne sera plus qu'un souvenir.*

*Après un demi-siècle d'histoire, ils sont un peu moins d'une vingtaine qui peuvent encore témoigner de l'exil.*

*Destin cruel mais chargé d'espoir, d'amour gravé dans ces mémoires qui chantent encore:*

*«Viendra un jour où les poètes*
*De la Georgie ressuscitée*
*Pourront enfin, le coeur en fête*
*Ecrire et dire la vérité...*
*Viendra un jour où la patrie aimée*
*Dans tous les coeurs Georgiens refleurira».*

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**Grégoire Kvartshava.**

*Trésorier de l'association depuis 1952 et président depuis six ans, Grégoire Kvartshava fait partie de ces quelque vingt derniers témoins de la communauté.*



ეროვნული ბიბლიოთეკა



(Document privé M.B.)

ეს უაღრესად საინტერესო **მოსაგონარი დოკუმენტი** გამოგვიგზავნა ჩვენმა მცხოვან ამხანაგმა, **ქალაქ** სოშოს ქართველთა სათვისტომოს თავჯდომარემ გრიგოლ კვარცხავამ, რომელსაც სიამოვნებით ვათავსებთ ჩვენს ჟურნალში. ნიშნად პატივის-ცემისა და სიყვარულისა მათ მიმართ რომლებიც ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა და გული დაგვინაღვლიანა.

# აღიარება.

--..--

დღიდან საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა , მოსკოვისათვის და მთლიანად მსოფლიოსათვის ასეთი განსაცვიფრებელი, უჩვეულო არევ გადაწყობა სრულიად მოულოდნელი საკვირელებაა. დასავლეთმა ამ მოვლენას დიდი რუსის (ასე შეარქვეს მას ევროპაში) გორბაჩევის "რევოლიუცია"უწოდა, რადგან საბჭოთა რეჟიმის 70 წლის არსებობის შემდეგ, რომელმაც მათი თქმით გაუგონარ ეკონომიურ - ნივთიერ გაფურჩქვნის მწვერვალებზე მიაღწია.ამერიკა, ევროპა უკან ჩამოიტოვა და წარმატებით შეუდგა მცხოვრებთა საკეთილდღეოთ ნანატრ კომუნიზმის განხორციელებას.

საბჭოთა მეშვიდე ახალ წითელ იმპერატორ გორბაჩევმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მის წინამოადგილეთა მოღვაწეობით ეგრედ წოდებულ "მიღწევებს"და გაბედულად აღიარა პარტიის პოლიტ ბიუროს სხდომაზე: "არ უნდა დავფაროთ, რომ ჩვენი ქვეყანა შეუკავებელ დაქვეითებისაკენ მიექანება"..*

გორბაჩევი ამ ტრაღიკულ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ აყენებს მის მიერ შემუშავებულ ახალ პოლიტიკურ ხაზს რომელიც მდგომარეობს შემდეგში: 1. მსოფლიო უატომურო ზომბით. 2. საბ. კავშირში დემოკრატიული გარდა-

*ეს ცნობა ---- ამოღებულია ისტ. რ. ლაკონტრის მიერ ცენტრალურ კომიტეტის პლენიუმის საქმიდან.

ქმნები,რომელსაც ექნება უდიდესი მნიშვნელობა, არამც თუ მარტო საბჭოეთისათვის, არამედ მთლიანათ მთელ მსოფლიოსათვის.
კიდით კიდემდე მთელ სამყაროში გორბაჩევის "რევოლიუცია " უდიდეს ინტერეს იწვევს,მაგრამ/ცნობენ რა გამოცდილებით ბოლშევიკურ ბუნებას და მისი სიტყვის ფასს ბუნებრივათ მათ წინაშე ისმება საკითხი, შეიძლება , გორბაჩევის ნდობა? ამის შესახებ სიტყვას ვაძლევთ ეხლა ხან მოსკოვიდან დაბრუნებულ ამერიკის ცნობილ ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ჰ. კისინჯერს, რომელიც ხანგრძლივათ ესაუბრა კრემლში თვით გორბაჩევს.
აი მოკლეთ მისი საუბარი დასავლეთის ჟურნალისტებთან:
"კრემლის მიერ ასე ფართედ კარბჭეს გაღებაში ის ხედავს
"ახალ მუქარას დასავლეთისადმი.მე ვესალმები გორბაჩე-
"ვის წადილს, მაგრამ ვეკიდები დიდი სიფრთხილით და
"უნდობლობით, რადგანაც ამ გზით მას სურს ამერიკის გა-
"ნდევნა ევროპიდან და მარტოდ დარჩენილ ევროპის სრული
"დამორჩილება და მასთან ერთად ბრძოლა ამერიკის წინა-
"აღმდეგ და საბოლოო მიზნის მიღწევა, რომლის სახელია
"კომუნისტური რუსეთის ჰეგემონია მსოფლიოზედ.
"მე არ გამიკვირდება, რომ მოკლე ხანში მას მოიცი -
ლებენ ხელისუფლებიდან.

"ხაზ. რუსეთი განიცდის ღრმა ეკონომიურ კრიზის, ხალხი
"გაჭირვებაშია, მხოლოდ "ნომენკლატურა" ანუ რეჟიმის
"ახალი და ულმობელი არისტოკრატია არ ნახულ გაუგონარ
"ფუფუნებაში ცხოვრობს და ამ გაჭირვებულ ხალხს მე-
"დიდურებით და დაცინვით დასცქერის,რაც ბრაზსა და ხი-
"ძულვილს ქმნის, როგორც მათ ისე რეჟიმის წინააღმდეგ.
"გამეფებულის მოსყიდვა, მოქრთამა, გეგმების შესრულე-

ბის გაყალბება და სხვა. ამ ვაჟ-ბატონებს მათვის სპე-
"ციალურათ განკუთვნილი მაღაზიები აქვთ, სადაც მათ
"შეუძლიათ შეიძინონ იაფ ფასებში ყველა ნანატრი
"ევროპულ,ამერიკული და იაპონური საქონელი.ამ მა-
"ღაზიებში საბ. უბრალო მოქალაქეს არამც თუ ყიდვა შე-
"სვლის უფლებაც არა აქვს.
"საბ. რუსეთის ეკონომიურ კატასტროფიდან გამოყვანისა-თვის
"აუცილებელია დიდი და ღრმა რეფორმები.
"გორბაჩევს შინ ყავს ერთი ძლიერი და დიდი მტერი,
"ნომენკლატურის" სახელით ცნობილი,რომელიც არ დაუშვე-
"ბს რაიმე ცვლილებებს, რადგან ეს იქნება მათი პრი-
"ვილეგიების მოსპობა,უნდა იყო ლ ე ნ ი ნ ი, რომ ეს
"ახალი ბოიარები მორჩილებაში მოიყვანო, --------
" გორბაჩევი არაა ლენინის გაპიროვნება და არც
"მისი ძალა არ აქვს.მეორე მისი დიდი მოწინააღმდეგები
"არიან სატელიტები, რადგანაც გორბაჩევის რეფორმებში
"ისინი ხედავენ ძალით დამყარებულ კომუნისტურ ხე-
"ლისუფლების გაუქმებას და მათ ბრძანებლობის დასა-
"სრულს.საბ. რუსეთის ეკონომიური ჩავარდნების მთა-
"ვარი მიზეზია მათ მიერ სათაყვენებელი ბოლშევიკური
"სისტემა, რომლის შეხებაც არ სურს გორბაჩევს და იმე-
"ორებს ძველ ცნობილ ლოზუნგს"პარტია არასოდეს არ
"სცდება"-ო-და, დაიწყო ძველი თაობის პასუხისმგებელ
"პირების სამსახურიდან გადაყენება და მათი ახალ თა-
"ობით შეცვლა, რომლებსაც იგივე სისტემის ბორკილები
"ადევთ და ამიტომ რაიმე მნიშვნელოვან წარმატებებს
"საბჭოთა ეკონომიკა ვერ მიაღწევს" პ. კისინჯერის
გამოთქმული აზრები სავსებით ემთხვევიან დასავლეთ
პოლიტიკურ პირთა შეხედულებებს გორბაჩევის მიერ

საბჭოთის ისტორიულ ეგრედ წოდებულ "შებრუნებაზედ".
ძვირფასო თანამემამულენო!
ჩვენი ყურნალი შორეთიდან თქვენა-მდის მოაღწევს გვეცნობებინა თქვენთვის დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი გორბა-ჩევის "დემოკრატიულ რეფორმებზედ" საბ. რუსეთშიდ.
ჩვენ სრულებით არ გვაქვს პრეტენზიები თქვენი შინაური საქმეების ახსნა განმარტების, რადგანაც თქვენ ჩვე-ზედ უკეთ შეგიძლიათ შეაფასოთ ახლად შექმნილი მდგო-მარეობა და თქვენი განწყობილება ადგილზედ გამოხატოთ და გამოსავალიც ადგილზედ გამონახოთ გორბაჩევის შეპირებულ გახმაურებულ "რეფორმებზედ"

--.--

ლ.

14 აპრილი 1978 წელს ქართული ენისათვის, საქართვე-ლოსათვის ლოცვის დღედ გამოაცხადეთ, თქვენ ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო.პარიზის წმ. ნინოს სახელო-ბის ეკლესიაშიდ, მამაო ილია ყოველწლიურად 14 აპრილს ლოცვის დღეთ აცხადებს , და მთაგონებითი ლოცვა კუ-რთხევით ლოცულობს ქართული ენის მარადისობისათვის, გლოცავთ თქვენ და თქვენი წყალობით მიღწეულ დიდ გამარჯვების დღეს.

--..--

# 14 აპრილი - ქართული ენის დღე!

ამ რამდენიმე წლის წინ, საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულ და ჰუმანიტარული მოძრაობის აქტივისტებმა, 14-ი აპრილი ქართული ენისათვის, საქართველოსათვის ლოცვის დღედ გამოაცხადეს, 1978-ი წლის 14-ტ აპრილს გამართული მძლავრი საპროტესტო დემონსტრაციის წყალობით მიღწეული დიდი გამარჯვების აღსანიშნავად, რის შედეგადაც ქართულმა ენამ შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი სტატუსი.

მიკროფონთან არის ზურაბ ნარსია.

დიქტორი: ქართული ენის აღსანიშნავი პირველი საზოგადოებრივი თავყრილობა, 1981-ი წლის 14-ტ მარტს გაიმართა მცხეთაში. ხელისუფალთათვის წინასწარ იყო ცნობილი ქართველ პატრიოტთა განზრახვა, ამიტომ მათ დილიდანვე გადაკეტეს მცხეთისაკენ მიმავალი ყველა გზა, ხოლო მატარებლები მცხეთაში არ ჩერდებოდა. მიუხედავად ამისა, სვეტიცხოვლამდე ორასმა კაცმა შესძლო ჩაღწევა. ზოგს ამისათვის ფეხით მოუხდა დიდი მანძილის გავლა, ზოგმა კი მდინარე მტკვარი გადაცურა.

დემონსტრანტები ანთებული სანთლებით ხელში დაჩოქილნი, ლოცულობდნენ დედა ენისთვის, საქართველოსთვის. გადაწყდა, რომ 14-ტ აპრილს, ყოველწლიურად მოწყობილიყო მცხეთაში ქართული ენის დაცვისაკენ მიმართული ამგვარი ღონისძიება. ქართველმა პატრიოტებმა თბილისის "დინამოს" სტადიონზე გავრცელებული პროკლამაციების მეშვეობით შესძლეს ეუწყებინათ მთელი ქართველი ერისთვის, 14-ი აპრილის ეროვნულ დღესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხნაულად გამოცხადების ამბავი.

მას შემდეგ, ეს დღე სისტემატურად აღინიშნება საქართველოში.

უკვე რამდენიმე ათეული წელია ქართველი ეროვნულად მოაზროვნე ინტელიგენცია და ახალგაზრდობა თავგამოდებით ებრძვის რუსიფიკაციის ალვირახსნილ შემოტევას. საბჭოთა ხელისუფალთა მტკიცებით, რუსული ენა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენას წარმოადგენს საბჭოთა კავშირში, და მისი ცოდნისა და სწავლების გაფართოება ემსახურება საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ინტერესებს. სამწუხაროდ, ეს წარმოებს მშობლიური ენების ხარჯზე მოსკოვი მიურიდებლად აწარმოებს სასწავლებლებში რუსული ენის, ლიტერატურისა და ისტორიისათვის განკუთვნილი საათების გაფართოებას, ეროვნული ენების, ლიტერატურისა და ისტორიის ხარჯზე. უმაღლეს და სპეციალურ-ტექნიკურ სასწავლებლებში მთელ რიგ სპეციალურ საგნებზე უკვე რუსულ ენაზე ასწავლიან. გაფართოვდა სპეციალურ სახელმძღვანელოთა რუსულ ენაზე გამოცემები, მშობლიურ ენებზე შესაბამის სახელმძღვანელოთა გამოცემების ხარჯზე; უმაღლეს საატესტაციო კომისიებში აუცილებელი გახდა სადოქტორო, საკანდიდატო დისერტაციების და მათთან დაკავშირებული მთელი დოკუმენტაციის რუსულ ენაზე წარდგენა. ესა და სხვა მრავალი ზომები რუსიფიკაციის აშკარა შემოტევას წარმოადგენს. თვით რუსი საზოგადო მოღვაწეებიც კი ადასტურებენ, რომ საბჭოთა კავშირში რუსიფიკაცია სახელმწიფოებრი დონემდეა აყვანილი.

მაგალითად, ცნობილმა რუსმა დისიდენტმა ვლადიმირ ბუკოვსკიმ, რომელიც ამჟამად დასავლეთში ცხოვრობს, ჯერ კიდევ 1975-ს წელს, ვლადიმირის პოლიტპატიმართა ბანაკში ყოფნისას განაცხადა: "მე ვარ რუსი და გული მტკივა ჩემს ქვეყანაზე, სადაც ოფიციალური პირები შოვინიზმ ქადაგებენ, და სადაც რუსიფიკაცია სახელმწიფოებრივ დონემდეა აყვანილი. გული მტკივა, რომ დღეს რუსეთი უფრო მეტად წარმოადგენს ხალხთა საპყრობილეს, ვიდრე 60-ი წლის წინათ... მე, ეროვნებითა და კულტურით რუსი ვაცხადებ, რომ საბჭოთა კავშირში ადგილი აქვს ეროვნულ

დისკრიმინაციას და წარმოებს იძულებითი რუსიფიკაციის".

ასეთ პირობებში ქართული ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქართული ენის-დედა ენის აღსანიშნავი არაოფიციალური დღესასწაულის აღნიშვნა. ორიოდე სიტყვით შევახსენებთ 1978-ი წლის 14-ი აპრილის მღელვარე მოვლენებს.

1978-ი წლის 14-ც აპრილს მიმდინარეობდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესია, საქართველოს ახალი კონსტიტუციის დასამტკიცებლად. ახალი კონსტიტუციის პროექტი უკვე აღარ შეიცავდა ძველ კონსტიტუციაში არსებულ მუხლს იმის შესახებ, რომ ქართული ენა საქართველოს სახელმწიფოებრივ ენას წარმოადგენ . მოსკოვის ამ მოურიდებელმა ხრიკმა აღაშფოთა მთელი ქართველი ერი. ქართველი ინტელიგენცია და სტუდენტი ახალგაზრდობა ქუჩაში გავიდა პროტესტის გამოსათქმელად. მთავრობის სასახლისაკენ მიმავალ კოლონებს წინ მიუძღოდა ქართული ენის დიდი ამაგდარი, იმ დროს უკვე 91-ი წლის აკადემიკოსი აკაკი შანიძე, რომელიც გასულ თვეში გარდაიცვალა.

დემონსტრანტებს ხელში ეჭირათ ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი ლოზუნგები. ისინი კითხულობდნენ ქართველ კლასიკოსთა ლექსებს, რომლებშიც ქება-დიდება აქვს შესხმული მშობლიურ ენას. მიუხედავად მილიციის მიერ შექმნილი დაბრკოლებებისა, მთავრობის სასახლესთან თავშეყრა ათი ათასამდე კაცმა მოახერხა. მათ უმრავლესობას ახალგაზრდობა წარმოადგენდა. ისინი კი, ვინც მთავრობის სასახლისაკენ ვერ შესძლო გზის გაკაფვა, თბილისის უნივერსიტეტთან შეგროვდნენ.

საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მთავრობები საგონებელში ჩააგდო ქართველი საზოგადოების მძლავრმა აზვირთებამ. ცდილობდნენ რა, რომ აღარ განმეორებულიყო 1956-ი წლის სისხლიანი მოვლენები, მთავრობის სახელიდან დემონსტრანტებს გადასცეს კონსტიტუციის 75-ე მუხლის კომპრომისული ვარიანტი- ხალხს სთავაზობდნენ ქართული ენისთვის რესპუბლიკური ენის წოდებას. დემონსტრანტებმა იწყეს ამ ვარიანტის

შემდეგ ფურცელთა დაწვა და განაგრძეს ყვირილი: "სახელმწიფოებრივი მთავრობა იძულებული გახდა გამაძლიერებლების საშუალებით გამოეცხადე-ბინა: "საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიამ მიიღო გა-დაწყვეტილება, დატოვებულ იქნას 75 -ე მუხლი უცვლელად. ამაში ხალხის საბო-ლოოდ დასარწმუნებლად, თვით შევარდნაძემ წაიკითხა 75-ე მუხლი, რო-მელიც იწყებოდა სიტყვებით: "საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივ ენას ქართული ენა წარმოადგენს"...

ეს იყო    საბჭოთა წყობილების პირობებში მიღწეული მართლაც უდიდ-. ესი გამარჯვება.    ეს გამარჯვება და მისი ყოველწლიური არაოფიცია-ლური აღნიშვნა, ქართველთა დიდი ეროვნული თვითშეგნების ნათელი დამადასტუ-რებელია, რაც საწინდარია იმისა, რომ ქართულ ენას, ქართულ კულტურას; ქართულ ეროვნულ თვითშეგნებას ვერავითარი რუსიფიკაცია ვერ დაამარ-ცხებს. (მიუნხენის რადიო გადაცემიდან).

--..--

ჩვენი თანამემამულე მინდია ლაშაური, მიუნხენის რა-დიოს ღირსშესანიშნავი ლიტერატურული თანამშრომელია, რომელიც ამის გარეშე გამოდის სამწერლო ასპარეზზე და მოგვცა უაღრესად ყურადსაღები სწავლებითი ისტორი-ული მოთხრობები სახელდობრ "ცოტნე დადიანი"--"უცხო მოქავა"-- და მეტად საინტერესო მინიატურული მოთხრო-ბები, რისთვისაც ის უაღრესად გამხნევების და მადლო-ბის ღირსია, რადგან პატივცემული მწერალი ამდიდრებს ემიგრაციის ლიტერატურულ საღაროს.

ვუსურვებთ მას: ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, მწერლობით დარგში კი მუდმივ ზეაღსვლას და გამარჯვე-ბებს.

--..--

--..--

ინგლისის პრემიერ მინისტრმა ქალბატონ მარგარიტ ტეტჩერმა საბჭოთა რუსეთში გორბაჩევთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, სურვილი გამოთქვა საქვეყნოთ სილამაზით განთქმულ საქართველოს ნახვის, რაც მაშინვე დაკმაყოფილებულ იქნა. საფრანგეთის პრეზიდენტ ფ. მიტერანმაც მოისურვა საქართველოში მოგზაურობა და განსაკუთრებით ეკლესიების დათვალიერება. მიტერანს დაჰპირდენ საქართველოში მოგზაურობას, მაგრამ უკანასკნელ მომენტში უარი უთხრეს და საქართველოშიდ მოგზაურობის გაუქმება "ცუდ ამინდს" გადააბრალეს და ნაცვლად საქართველოსა ლ. ტოლსტოის სახლისა და მუზეუმის სანახავად წაიყვანეს, რამაც პრეზიდენტის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მან შესანიშნავათ გაიგო თუ რა სარჩული ედვა საქართველოშიდ მისი მგზავრობის გაუქმებას.
მიტერანის ხაგზით მარშრუტი ხაზ. რუსეთში პრესის მეოხებით ყველამ იცოდა, ჩვენ მის სამღივნოშიდ წერილიც გავგზანეთ, რომ მას არ დართავდენ ნებას საქართველოს ეკლესიების მონახულებისას, სამღივნომ უპასუხოთ დასტოვა ჩვენი წერილი, მაგრამ როდესაც ის დაბრუნდა სამღივნომ დადებითად დააფასა ჩვენი წინასარმეტყველება, ისიც ვიცით, თუ ვისი წყალობით ჩვენმა წერილმა პრეზიდენტამდის ვერ მიაღწია.
ჩვენ არ ვიცით თუ „მაგი"-ს (მოსიყვარულე სახელი, რომელიც მას ინგლისელებმა შეარქვეს) დეკლარაციაზედ მისი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პრესასთან შეხვედრის დროს საქართველოს შესახებ რაიმე დაიწერა მანდ, აი მისი ჟურნალისტებთან გამოთქმული აზრი საქართველოზე: "ვნახე ქვეყანა ულამაზესი, ხალხი მხიბლავი და უაღრესად პურადი, მეგობრობით აღვსებული გულით, ზრდი-

ლნი და ლამაზნი, მშვიდობიანობასა და თავისუფლების მოყვარულნი. საქართველოში მგზავრობა დაუვიწყარი იქნება ჩემს ცხოვრებაში"-ო.

ქალ. ცეჩერის განცხადებამ სიამაყით, აღფრთოვანებით აავსო ჩვენი ბედმავი საქართველოზე ფიქრებით დასერილი გული და სიხარულის ცრემლები გვაღვრევინა.

შევახსენებთ, რომ 1920 წელს, როდესაც დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას დიდი სოციალისტური დელეგაცია ეწვია ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გასაცნობათ სახელდობრ: გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის და ინგლისის იმ დროინდელ ინგლისის პრემიერ მინისტრმა დიდი ბრიტანეთის მუშათა პარტიის ლიდერმა ცნობილ რამზეი მაკდონალდმა საქართველოში ნახულ თავისუფალ ერის მიერ დემოკრატიულ გზით რესპუბლიკის მიღწევებით აღფრთოვანებული დარჩა და შემდეგი სიტყვებით მიმართა მის ძველ მეგობარს პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას: "ვუსურვებ თქვენს ულამაზეს ქვეყანას წარმატებებს, აღტაცებული ვარ თქვენი წყობილებით, რომელსაც ჩემს ქვეყანა ინგლისაც ვუსურვებდი"-ო.

ამ რამოდენიმე წლის წინათ საზ. რუსეთში იმგზავრა ცნობილ ჟურნალისტმა ლ. ციტრონმა, რომელმაც დიდი წიგნი დასწერა საბჭოთა კავშირზედა ყველა სოც. რესპუბლიკებზე. საქართველოს მან მთელი თავი მიუძღვნა თავის შრომაშიდ შემდეგი სათაურით: "ღვთიური საქართველო" სადაც დიდი აღტაცებითაა აღწერილი საქართველოს ზღაპრული სილამაზე, და ქართველი ხალხის გასაშტერებელი სტუმართმოყვარეობა.

ჩვენი მადლობა თქვენ, მუდამ ჩვენთვის სანატრელნო მართლადაც ღვთიურ საქართველოს შვილნო.

## 26 მაისის

### აღსანიშნავი საზეიმო დღესასწაული ქალ. პარიზში.

--..--

წელს საქართველოს აღდგენიდან 69 წლის თავის აღსანიშნავად 26 მაისის დიადი თარიღი განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში ჩატარდა. პარიზის მეთოთხმეტე რაიონის ქალაქის თვითმართველობის დიდი დარბაზი მორთული იყო დიდი გემოვნებით ქართული ეროვნული დროშებით და სახელმწიფო ღერბით.

საზეიმო საღამო გახსნა ჩვენმა სათვისტომოს ახალგაზრდა თავჯდომარემ შესანიშნავ ქართულ ჩოხით მორთულ მოკაზმულმა ბატონ ოთარ პატარიძემ, მან შესანიშნავ დახვეწილ ქართულ ენაზე წარმოსთქვა უაღრესად შინაარსიანი სიტყვა. მიესალმა საპატიო სტუმრებს, დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა ბრძოლა გრძელდება შეურიგებელი მანამ საქართველო არ მოიპოვებს ძალით წართმეულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, მის 26 მაის. საბ. რუსეთის კოლონიალური იმპერია,დაიშლებ- დააღუპება და მის მიერ დაპყრობილი ერები განთავისუფლდებიან.ფრანგულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა თავჯდომარის თანაშემწემ ბატონ გია სარჯველაძემ, რომელმაც ფართოდ დაახასიათა თანამედროვე მსოფლიო მდგომარეობა, დამსწრე საზოგადოებას გააცნო ქართველი ერის გმირული უთანასწორო ბრძოლები და განაცხადა არავითარი კომპრომისი საბ. საქართველოს წარმომადგენლებთან და არც მათთან რაიმე კავშირში შესვლა, სანამ საქართველო დაპყრობილია.გორბაჩევის "რეფორმები" ილიუზებია და საბჭოთა იმპერიას დაღუპვისაგან ვერ იხსნის.

საპატიო სტუმრებიდან სიტყვები წარმოსთვეს: უკრაინის, სომხების, პოლონელ "სოლიდარისტების" და ავღანეთის წარმომადგენლებმა, რომლებმაც გამოთქვეს ურყევი რწმენა საბოლოო გამარჯვების და ძმური სიყვარულით მიესალმენ 26 მაისის უკვდავ ისტორიულ თარიღს.

საღამოს მეორე ნაწილი მიეძღვნა არტისტიულ პროგრამას, მართლადაც საკვირველებაა, თუ როგორ ხითკისეს. მომღერალთა გუნდის ლოტბარმა ბ-ნ ოთარ პატარიძემ და მის გუნდის წევრებმა ქართული სიმღერების ეშხი და დამათრობელი ჰანგები, რომლებსაც საქართველო სულაც არ უნახავთ და მხოლოდ გადმოცემებით იცნობენ. დიდი მადლობის ღირსნი არიან გუნდის ყველა წევრები და მისი ღირსეული ხელმძღვანელი, რომლებმაც მოხიბლეს დამსწრე საზოგადოება მათი სიმღერებით. სწორედ ამ გუნდმა დიდებულათ შეასრულა ზეიმის გახსნისთანავე ქართული ეროვნული ჰიმნი და ფრანგულ ენაზედ საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი "მარსელიოზა"

საღამოს გვირგვინი იყო ქართული ცეკვები, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართული ცეკვების პროფესორი ბატონი შოთა აბაშიძე, რომელმაც დიდი სახელი გაუთქვა ქართულ ცეკვას ევროპაშიდ, ცნობილ ბალეტ მარკიზ დე-კუევასის ბალეტისათვის "კავკაზსი პლენიკის" დადგმით, რომელსაც გასაშტერებელი წარმატება ხვდა სწორედ ამ ბალეტის კორეოგრაფ შოთა აბაშიძეს მეოხებით, რომელმაც შეუდარებელ სანახაობით არტისტიულათ გააფორმა ქართული დიდებული ცეკვები . ბატონი შოთა აბაშიძე მიწვეულ იქნა აწ განსვენებულ ცნობილ სერჟ ლიფარის მიერ, პარიზის გრანდ ოპერაში უკვდავ "ვეფხის ტყაოსნის" მიხედვით ბალეტის ლიბრეტოს შესაქმნე-

ლად და ამ კლასიკურ ბალეტში ქართული ცეკვების შესატანათ. ბ-ნმა მოთამ ამ ბალეტს დიდი ოსტატობით სარჩულად დაუდო ქართული თვალ-წარმტაცი ხალხური ცეკვები და ის ზღაპრული სილამაზით მონივთა. საფრანგეთის პრესა უაღრეს აღფრთოვანებით შეხვდა ამბალეტს და ს. ლიფართან ერთად ტაშს უკრავდა ჩვენ თანამემამულეს ბ-ნ მოთა აბაშიძეს.

ბ-ნ მ. აბაშიძემ არა ჩვეულებრივი მთაგონებით ჩაუნერგა, ჩვეს ახალგაზრდობას ქართული ცეკვების ხიბლვა და ამით მიგნებულათ შეაყვარა მათ საქართველო და მისი რაინდული ტრადიცია ადათები.

იშვიათი სანახაობა იყო ჩვენი ახალგაზრდობა, ეროვნულ ტანსაცმელში მართლადაც ადამიანთა ჯიშის სილამაზის საუცხოო განსახიერება, როდესაც ვცქერდი მათ, თვალები კურცხლით მევსებოდენ, ნათელა ყიფიანის ასული უმწიკვლო თეთრ ქართულ კაბაში , მურმანის ბროლის ციხიდან გადმომდგარ ულამაზეს ეთერს მოგაგონებდათ, აგერ ტარიელ ფალავამ ამ მხარ ბეჭიან შესანიშნავ ლამზ ვაყკაცმა გაშალა მისი ძლიერი მკლავები და ცეკვის სცენიურობა დაამშვენა, რომელი ერთიდავასახელო, ყველანი იყვნენ მშვენიერნი, მათი მზერით მოხიბლულმა გნახე შენ ჩემო საყვარელო სამშობლო საქართველო.

ვხედავ ჩემი სიცოცხლის გზის დასასრულს, ჩემი თხოვნაა იყავით ერთგული მსახურნი საქართველოსი,პატივი ეცით, შეიყვარეთ და იყავთ საამაყო მოქალაქენი დიდებულ ქვეყნის,თქვენი მშობლიური საფრანგეთის, რომელმაც შეიფარა თქვენი დევნილი მამები და საშუალება მოგვცა თქვენი აღზრდის და ამ დიდი ერის კულტურაზე ზიარების. გამგეობას კი უმორჩილესად ვთხოვდით ნუ შესწყვეტენ ქართულ ცეკვა სიმღერის სწავლებას, და თუ ქართულ

სკოლის დაარსებას შესძლებთ, რომ ენა არ დაგვეკარგოს ეს იქნებოდა სამარადისო გვირგვინი თქვენი მოღვაწეობის.
არტისტიული პროგრამის დასრულების შემდეგ სცენა დაიკავა ბ-ნ ი. დავრიშაშვილის ჯაზ-ორკესტრმა.
არ შეგვიძლიან არ მოვიგონოთ უკვე ხანდაზმული პ-ნი ა. გუნია, რომელმაც დიდი გრძნობით აცრემლებულმა წაიკითხა საკუთარი ლექსი საქართველოზე.
მადლიერი საზოგადოება იმედით აღსავსე ძალზე გვიან დაიშალა.

--..--

დამსწრე.

შაბათს 23 მაის , 26 მაისის აღსანიშნავათ, პარიზშიდ ვარსკვლავის მოედანზე , უცნობ ჯარის -კაცის საფლავზე ყოფილ ქართველ მეომრებმა მიიტანეს გვირგვინი და ჩაუქრობელი ცეცხლის ალი ტრადიციულ ხმლის შეხებით ააგიზგიზეს, ამ ცერემონიის შემდეგ ხელი მოაწერეს ოქროს წიგნზე.

--..--

საშაბათს 26 მაის საღამოს 7 საათზე მამა ილიამ წმინდა ნინოს სახელობის პარიზის ეკლესიის დეკანოზმა სწირა 26 მაისის აღსანიშნავად და წარმოსთქვა უაღრესათ შთამაგონებელი პატრიოტული ქადაგება.

--..--

ეროვნული ბიბლიოთეკა

--.--

ამა წლის 29 აპრილს უკრაინის ეკლესიის სამრევლო დარბაზში მოწვეულ იქნა უკრაინის გაერთიანებულ ორგანიზაციის არაჩვეულებრივი სხდომა, კანადის პარლამენტის დეპუტატის, ბატონ პეტროს სავარინის საპატივცემულო მიღებისათვის, რომელიც იმავე დროს თავჯდომარეა საერთაშორისო ადამიანთა უფლებების და ერთა თვით გამორკვევის დამცველი ორგანიზაციის.
მიღებაზე მოწვეულ იქნა ბატონი ვიქტორ ხომერიკი, სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ თავჯდომარემ თავის სიტყვაში პირველ რიგითობით მოიხსენია საქართველო. ბატონი ვ.ხომერიკმა თავის სიტყვაში მადლობა გადაუხადა თავჯდომარეს, მიესალმა ყველა ერების წარმომადგენლებს, უსურვა მათ ბრწყინვალე წარმატებები, და გამოთქვა შეურყეველი რწმენა საბოლოოგამარჯვების.

--.--

პირველ მაის 1987 წელს, პარიზში პოლონლების ტაძარში დიდძალ საზოგადოების თანდასწრებით გრანდიოზულ მწუხარების ვითარებაში გადახდილ იქნა პანაშვიდი, ათაზე მეტ პოლონელ ოფიცრების სულის მოსახსენებლათ, რომლებიც დაჩლურათ ხუნდებ დადებულნი ულმობლათ კატინის ტყეში ჩახოცეს საბჭოთა ჯალათებმა.
ბატონი ვიქტორ ხომერიკი მიწვეულ იყო ამ საეკლესიო პანაშვიდზე, რომელმაც ქართული ეროვნული დროშა შავი არშიით მორთული, დახარა ყველა სხვა დროშებთან განაწამებ პოლონელ მხედართა ხსოვნის საპატივცემულოთ. პანაშვიდის შემდეგ პოლონელების სახლში გაიმართა სადარბაზო მიღება, მათი ხსოვნის სასახელოდ აღსანიშნავათ.

--..--

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მოკლედ.

"საჭირო და სასურველია კრიტიკული შენიშვნები. ამის
უფლება ყველას აქვს, მაგრამ არ შეიძლება ასეთი ცო-
ნით ასეთი გაუმართლებელი კატეგორიულობით, ლანძღვა
გინებით , ამავე დროს საქმის სრულიად არ ცოდნით წე-
რო.თვით საქმე უდიდესი მიღწევაა იგი ნაკლულევნება,
ყველა ახალ საქმეს აუცილებლათ მოსდევს ხოლმე.
ამისთანა საქმეშიდ თვით წუნიც უნდა მღუმარებდეს,
კრიტიკოსი უკეთესი სურვილით უნდა მოუვიდეს და არა
ლანძღვა გინებით წუნის დასადებათ", ილია .

--..--

დამოუკიდებლობის ხანა ჩვენი ერის კულტურის მძლავრი
გამომხატველია, რადგან საქართველოს მისწრაფების
უნიკალური და უდიდესი მონაპოვარია,და ამიტომ სიყვა-
რულით, გატაცებით, თავდავიწყებით ქართველი ერი მთ-
ლიანად ცამს უკრავდა ამ დიადი ხანის მიმქრებლებს.

--..--

სან ფრანცისკოს"კალმოსანი"შუშუ არ ცხრება და კიდევ
ერთ,,მის მიერ დაწერილ"წიგნაკშიდ საქმის სრულიად არ
ცოდნით მის მიერ შეთხზულ გამოგონებულ ცყუილ ამბავთა
კორიანტელში, უშვიერათ ლანძღავს არა მარტო პიროვნე-
ბებს არამედ მთელ გურიას.
ამბობენ, რომ ჩიტი ბღლვნათ არ ღირსო და მართლაც
შუშუ ბღლვნათ არ ღირს, და არც პასუხის ღირსია, რა-
დგან ადამიანთა სამოსშიდ გამოწყობილი შუშუ ყოველ
მხრივ არცხვენს შეფიცულთა წმინდა სახელს და მთლი-
ანად ამცირებს მისი "მწერლობით" ჩვენს ემიგრაციას.

--..--



# სამგლოვიარო



ეროვნული ბიბლიოთეკა



1902-1987.

--.-.--

დათიკო ვაშაძის გარდაცვალება.

---

მძიმე ხვედრი შეხვდა ჩემ მეგობარ ლევან ფალავას, დრო და დრო შემატყობინოს ჩვენ საერთო მეგობრის გარდაცვალება. ეხლა დ ა თ ი კ ო  ვ ა შ ა ძ ე .
ამ ამბავმა უაღრესათ დამამწუხრა, თუმცა კარგა ხანია უკვე ვიცი, რომ ის მძიმე ავადმყოფი იყო.
დავკარგეთ ნიჭიერი, განათლებული კარგი ქართველი.
დათიკოს მე ვიცნობდი ჯერ კიდევ ჭიათურის სასწავლებლიდან, სადაც ის იყო უკანასკნელ წელში, ჩვენზე უფროსი შეიძლება ორი სამი წლით.ის იყო თვალსაჩინო ახალგაზრდა, უკვე სკოლაში გამოირჩეოდა, როგორც ნაკითხი, განათლებული და მჭერმეტყველი. იგი ეკუთვნოდა ფედერალისტთა ჯგუფს. მეტად მომქმედი ყველა კულტურულ ეროვნულ გამომჟღავნებაში მონაწილეობის მიმღები და მეთაური. მას ვთვლიდი, როგორც სამაგალითო ახალგაზრდას და არა მხოლოდ მე.
ჩვენი ჭიათურის მაშვინდელი სკოლა ითვლებოდა,როგორც ბოლშევიკურ წყობისა და აზროვნების საუცხოვო საწინააღმდეგო კერა და რასაკვირველია დათიკოს მიუძღოდა მასში დიდი წილი.ისე რომგალიზიანებულ მთავრობამ გადაწყვიტა სკოლის გაწმენდა და მათთვის· არა სასურველი

ახალგაზრდობის სკოლიდან დათხოვნა. შეადგინეს სიები
სხვათა შორის ამ სიაშიდ მეც მოვხვდი. აღარ მოვუცა-
დე, გადავედი ჩემ ძველ ქუთაისის ყოფილ თავადაზნაუ-
რთა ქართულ გიმნაზიაში და იქ მივიღე სიმწიფის მო-
წმობა.

ეს იყო ჯერ კიდევ 24 წლის ჭიათურის აჯანყებამდე,
დათიკოს და მის უფროს ძმას სიმონს გადაეწყვიტათ წა-
მოსულიყვნენ გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად.
შეიკრიბა დიდი ხალხი მათ გასაცილებლად განსაკუთრე-
ბით მათი ახალგაზრდა მეგობრები. მახსოვს ნიჭიერმა
ლოლაზერიძის ყმაწვილმა უთხრა დათიკოს და მის ძმას
სიმონიკას გამოსათხოვარი სიტყვა და ასე გაათავა:
"გქონდესთ სული უსპეტაკეს თოვლისა და გახსოვდეთ სა-
ქართველო უწინარეს ყოვლისა". ეს მითითება მათ ბოლო-
მდის დაიცვეს.

გერმანიაში სწავლა განათლების მიღება მაშინ არ იყო
ადვილი საქმე, უსახსრობის გამო. მიუხედავად ამისა
ორივე ძმებმა მიიღეს გერმანული განათლება.

მახსოვს ოცდა-ათიან წლებში ჩემი ძმა ვახტანგი და
დათიკოს ძმა სიმონი საქართველოში დაბრუნდნენ, მიუხე-
დავად ყოვლივესი თავისი მძიმედ შეძენილი ცოდნა ჩვე-
ნი ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებიათ. ვიცი ისინი
პირველად კარგათ მიიღეს და მერმე არ ვიცი როგორი
იქაური მანქანებით დაიჭირეს და დაიღუპნენ საპყრობი-
ლეში.დღესაც არ ვიცი :როდის, სად, რისთვის და როგორ.
დავითს მე მხოლოდ შევხვდი ომის გათავების შემდეგ
1945წელს ქალაქ ჰამბურგში. ჩემთან მოვიდა რამდენჯე-
რმე, რადგან მის მეუღლესთან ერთად აერჩიათ საცხო-
ვრებლათ ჩრდილოეთ გერმანია სახელდობ იტცეჰოე-(პა-
ტარა ქალაქია ჰამბურგის .მახლობლად).

მას ისე, როგორც მე, ჩვენი დაღუპულ ძმების ამბავი გაუქარვებლათ გვაწვა თავზე.
მას შემდეგ აღარ მინახავს, მაგრამ მის საუცხოო წერილებს გამოქვეყნებულს პარიზის ქართულ პრესაში დიდის სიამოვნებით ვკითხულობდი, მას როგორც ყოველთვის აჩნდა ქართულისა და საკითხის დიდი მცოდნეობა.
ეხლა კი გავიგე, რომ წავიდა ეს ძვირფასი ადამიანიც. საუკუნოდ იყოს მისი კეთილი ხსოვნა და მისი დიდი სიყვარული ჩვენი ქვეყნისათვის არ დაკარგულიყოს უკვალოდ.

..-..

ირაკლი ოთხმეზური.
ბრიუსელი-25აპრილი 1987წ.

სამგლოვიარო განცხადებები.
გარდაიცვალენ:
--..--

1.- 3. დიმიტრი კლდიაშვილისა.დასაფლავდა ლევილშის ძმათა სასაფლაოზე.
2.- ვ. ზერიაშვილი. ---- --"""--

ჭირისუფლებს ვუცხადებთ ჩვეს სამძიმარს.

რედაქცია

„ჩვენი დროშა"-ს რედაქცია უღრმეს მადლობას უცხადებს ყველას, ვისი კეთილშობილებით და მეოხებით ჟურნალი განაგრძობს არსებობას. მასალები და ფულადი დახმარება უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით :

Pagava Levan – 3, Rue AdolpheCherioux
92130 ISSY LES MOULINEAUX

შემომწირველთა სია:

1. გრიგოლ კვარცხავა 1.500 ფრ.
2. სოშოს ახალშენი --- 300 -
3. გ. მორალიშვილი 50დ.=302 -
(მისი მშობლების იასხონისა და ნინას სულის მოსახხსენებლათ).
4. კარლო ინასარიძე-----300 -
5. ქეთევან ზარნოვი-----250 -
6. პავლე ვაშაძე--------200 -
7. თანამგრძნობი--------200 -
6. მკითხველი-----------159 -

+3.211 ფრ.
ნაშთის რეპორცაყი--- 2.270 -

5.481 ფრ.

""--"" 200 დოლარი.

გასავალი.

სამაისო ნომერი:

3.539 ფრ.

5.481ფრ.
\- 3.539 -

1.942 ფრ.

სალაროშია:

1.942 ფრ.
და 200 დოლ.

# სარჩევი.

გვერდი.


1- სააღდგომო მილოცვა.
3- პრეზიდენტის სურათი.
5- ერის დღესასწაული---ნ.ჟორდანია.
9- 26 მაისი--- ღ. ფაღავა.
13.-26 მაისი---ქუთაისელი.
17.-პირველი 26 მაისი.
18.-პირველი მაისი--"ბრძოლის ხმა"
20.-დიადი 26 მაისი ნ. ჟ-ას ხსოვნის დღეა.
21.- ნოე ჟორდანია--- პროფესორი მიხეილ წერეთელი.
24.- [illegible]ილი საფლავის წინაშე--ნ.
26.- გლოვის ზარი--- ნ. ნაკაშიძე.
28.- მამა ჩემს ნ. ჟ-ას (ფრანგულად) ა. ჟორდანია.
29.- ყველაფერი დინებაშია--- კარლო ინასარიძე.
42.- წერილი რედაქტორს ---ვ. ჩუბინიძე.
44.-ცნობა- საქ. ს. დ. პ.საზღვარ გარეთელი ბიურო.
46.- მცირე რამ ადამიანზე---გივი.
51.- დეკლარაცია (ფრანგულად)საქ. ს.დ.პარტიის.
53.- ქ. სოშოს ქართული სათვისტომო(ფრანგულად)
56. აღიარება --- ღ. ფ.
60.- 14 აპრილი ქართული ენის დღე!რ. მიუნ. გადაცემ:
64.- ქალ. ცაჩერის მოგზაურობა საქართველოში.
66.- 26 მაისის საზეიმო დღე პარიზში---დამსწრე.
70.- შეხვედრა უკრაინელებთან, და პოლონელებთან "კაფინის დღე"
71.- მოკლედ.
72.- სამგლოვიაროგანყოფილება.
76.- ჟურნალ "ჩ.დ-ის ანგარიშები.



Hors commerce


რედაქტორი-- ლევან ფაღავა.

Redacteur:Levan PAGAVA
3 rue Adolphe Cherioux
92130 Issy les Moulineaux

№ 111

გერანი-- პროკოფ ინწკირველი.

Gérant : Pr. Intskirveli


ß-915